შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 6
სრული შემოსავლის ანგარიშგება 7
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 9

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია 10
2. მომზადების საფუძველი 10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 12
4. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა 13
5. ძირითადი საშუალებები 17
6. გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები 19
7. სხვა გრძელვადიანი აქტივები 19
8. მარაგები 19
9. წინასწარ გადახდილი გადასახადები 19
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 19
11. საბანკო დეპოზიტები 20
12. ფული და ფულის ეკვივალენტები 21
13. საწესდებო კაპიტალი და სხვა რეზერვები 21
14. მიღებული სესხები 21
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 25
16. ამონაგები 25
17. სახელმწიფო სუბსიდიები 25
18. სხვა შემოსავალი 25
19. სხვა ხარჯები 26
20. სესხებთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯი 26
21. საკურსო სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება/(ზარალი), წმინდა 26
22. პირობითი ვალდებულებები 26
23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 28
24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 28
25. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა 28

მმართველობის ანგარიშგება 33

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ 33
2. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა 33
3. ხარისხის მართვა 34
4. ინვესტიციები და განვითარების გეგმები 34
5. სამოქმედო გეგმა და სტრატეგია 35
6. საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 35
7. არაფინანსური მაჩვენებლები 36
8 ძირითადი რისკები 38
9. გარემოს დაცვა 38
10. ადამიანის უფლებების დაცვა 39
11. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა 39

ტელ: +995 32 2545 845
ტელ: +995 32 2188 188
www.bdo.ge

თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი,
საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ხელმძღვანელობას და დამფუძნებელს

აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მოსაზრება

ჩავატარეთ **შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“** (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის, არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე “- ნაწილში.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) შესაბამისად, რომელიც ვრცელდება საზოგადოებრივი დაინტერესების პირების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები - კოვენანტები

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 22-ე შენიშვნაზე, სადაც აღწერილია აზიის განვითარების ბანკის სასესხო ხელშეკრულებით განსაზღვრული შემდეგი ფინანსური კოეფიციენტები: ოპერაციული სისტემის კოეფიციენტი, სავალე მომსახურების დაფარვის კოეფიციენტი და შემოსავლების ამოღების მაჩვენებელი. აღნიშნულიდან კომპანია ვერ აკმაყოფილებს ოპერაციული სისტემის კოეფიციენტს. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში, მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქიონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ 2025 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ეკატერინე გოპალიანი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-932874)

შპს „ბიდიო აუდიტის" სახელით

თბილისი, საქართველო

2 ივლისი, 2026

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ 2025 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ეკატერინე კოპალიანი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-932874)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2 ივლისი, 2026

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	31.12.2025	31.12.2024
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	1,471,805	1,267,112
არამატერიალური აქტივები		92	71
გრძელვადიანი აქტივისათვის გადახდილი ავანსები	6	121,489	155,217
სხვა გრძელვადიანი აქტივები	7	2,315	2,927
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	23,349	27,537
		1,619,050	**1,452,864**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	8	15,627	11,800
წინასწარ გადახდილი გადასახადები	9	47,971	32,110
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	51,038	20,647
საბანკო დეპოზიტები	11	325,540	101,216
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	382,305	330,405
		822,481	**496,178**
სულ აქტივები		**2,441,531**	**1,949,042**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	460,950	459,651
სხვა რეზერვები	13	2,173,609	1,593,508
დაგროვილი ზარალი		(1,925,166)	(1,674,022)
სულ კაპიტალი		**709,393**	**379,137**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	1,294,243	1,314,041
მიღებული გრანტი	10	47,164	47,164
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	49,036	40,690
		1,390,443	**1,401,895**
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	162,057	23,828
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	179,638	144,182
		341,695	**168,010**
სულ ვალდებულებები		**1,732,138**	**1,569,905**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**2,441,531**	**1,949,042**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით 2026 წლის 2 ივლისს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი		ზესიკ ჯიქურაული
დირექტორის მოადგილე ფინანსურ საკითხებში		სალომე ვაშაკიძე
რეპორტინგის დეპარტამენტის უფროსი		გვანცა წინწალაშვილი
ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტის უფროსი		თეონა ლომინაძე

10 – 32 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	შენიშვნა	31.12.2025	31.12.2024
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	1,471,805	1,267,112
არამატერიალური აქტივები		92	71
გრძელვადიანი აქტივისათვის გადახდილი ავანსები	6	121,489	155,217
სხვა გრძელვადიანი აქტივები	7	2,315	2,927
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	23,349	27,537
		1,619,050	**1,452,864**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	8	15,627	11,800
წინასწარ გადახდილი გადასახადები	9	47,971	32,110
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	51,038	20,647
საბანკო დეპოზიტები	11	325,540	101,216
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	382,305	330,405
		822,481	**496,178**
სულ აქტივები		**2,441,531**	**1,949,042**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	460,950	459,651
სხვა რეზერვები	13	2,173,609	1,593,508
დაგროვილი ზარალი		(1,925,166)	(1,674,022)
სულ კაპიტალი		**709,393**	**379,137**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	1,294,243	1,314,041
მიღებული გრანტი	10	47,164	47,164
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	49,036	40,690
		1,390,443	**1,401,895**
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	162,057	23,828
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	179,638	144,182
		341,695	**168,010**
სულ ვალდებულებები		**1,732,138**	**1,569,905**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**2,441,531**	**1,949,042**

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით 2026 წლის 2 ივლისს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	_____	ბესიკ ჯიქურაული
დირექტორის მოადგილე ფინანსურ საკითხებში	_____	სალომე ვაშაკიძე
რეპორტინგის დეპარტამენტის უფროსი	_____	გვანცა წინწალაშვილი
ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტის უფროსი	_____	თეონა ლომინაძე

10 – 32 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	შენიშვნა	**2025**	**2024**
ამონაგები	16	58,766	55,592
სახელმწიფო სუბსიდიები	17	200,019	150,565
სხვა შემოსავალი	18	4,594	767
		263,379	**206,924**
გამოყენებული მარაგებისა და სახარჯი მასალების ცვლილება		(9,030)	(8,615)
გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება	5	(373,460)	(412,003)
ელექტროენერგია		(39,141)	(33,914)
პერსონალის შენახვის ხარჯები		(63,506)	(51,754)
ცვეთა და ამორტიზაცია		(20,052)	(19,148)
სხვა ხარჯები	19	(27,991)	(26,924)
საოპერაციო ზარალი		**(269,801)**	**(345,434)**
სესხებთან დაკავშირებული ხარჯი:			
საპროცენტო ხარჯი	20	(14,986)	(16,306)
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა მიღებულ სესხებზე	20	(8,268)	(26,408)
ფინანსური შემოსავალი	12	34,716	14,325
საკურსო სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება/(ზარალი), წმინდა	21	1,265	(1,445)
წლის ზარალი		**(257,074)**	**(375,268)**
წლის მთლიანი სრული ზარალი		**(257,074)**	**(375,268)**

10 – 32 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სხვა რეზერვები	სულ
31 დეკემბერი 2023		**453,581**	**(1,298,605)**	**1,019,086**	**174,062**
წლის მთლიანი სრული ზარალი		-	(375,268)	-	**(375,268)**
კაპიტალის შევსება და შემცირება დამფუძნებლის მიერ:					
კაპიტალის შევსება დამფუძნებლის მიერ	13	7,512	-	-	**7,512**
დამფუძნებლის მიერ არაფულადი აქტივების გატანა	13	(1,442)	(149)	-	**(1,591)**
კაპიტალში მომავალში შემოსატანი ფონდები	13	-	-	574,422	**574,422**
31 დეკემბერი 2024		**459,651**	**(1,674,022)**	**1,593,508**	**379,137**
წლის მთლიანი სრული ზარალი		-	(257,074)	-	**(257,074)**
კაპიტალის შევსება და შემცირება დამფუძნებლის მიერ:					
კაპიტალის შევსება დამფუძნებლის მიერ	13	7,315	-	-	**7,315**
დამფუძნებლის მიერ არაფულადი აქტივების გატანა	13	(6,016)	5,930	-	**(86)**
კაპიტალში მომავალში შემოსატანი ფონდები	13	-	-	580,101	**580,101**
31 დეკემბერი 2025		**460,950**	**(1,925,166)**	**2,173,609**	**709,393**

10 – 32 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	შენიშვნა	2025	2024
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		69,706	64,505
სესხების დაფარვისთვის მიღებული სახელმწიფო სუბსიდიები	17	200,019	150,565
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(78,700)	(76,527)
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(51,988)	(44,188)
დაბრუნებული დამატებული ღირებულების გადასახადი		-	12,826
გადახდილი გადასახადები		(12,095)	(19,976)
მიღებული პროცენტები		35,392	13,350
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**162,334**	**100,555**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(453,711)	(422,706)
საბანკო დეპოზიტებზე გათავსებული ფული*	11	(325,000)	(100,000)
საბანკო დეპოზიტებიდან მიღებული ფული		100,000	30,000
გარანტიასთან დაკავშირებით მიღებული ფულადი სახსრები, წმინდა		12,026	7,105
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(666,685)**	**(485,601)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	14	41,249	29,555
სესხების დაფარვა	14	(12,110)	(22,023)
გადახდილი პროცენტები	14	(53,477)	(53,542)
სესხის ადმინისტრირების გადასახადი		(443)	-
EIB III სესხის და გრანტის ხელშეკრულებით მიღებული დაფინანსება		666	929
AFD გრანტით მიღებული დაფინანსება		1,758	-
ADB სესხის ფარგლებში დაბრუნებული თანხები	14	-	(1,090)
კაპიტალის ზრდისთვის მიღებული თანხები	13	580,101	574,422
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		**557,744**	**528,251**
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		**53,393**	**143,205**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	12	**330,405**	**185,139**
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფული და ფულის ეკვივალენტებზე	21	(1,493)	2,061
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	12	**382,305**	**330,405**

*როგორც მე-11 შენიშვნაშია აღწერილი 2025 და 2024 წლისს 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს საბანკო ანგარიშებზე განთავსებული დეპოზიტები ჯამური ღირებულებით 325,540 და 101,216 ლარი, შესაბამისად, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია, როგორც საბანკო დეპოზიტები. საბანკო დეპოზიტები და ფული და ფულის ეკვივალენტების ჯამური ღირებულება 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 707,845 და 431,621 ლარს, შესაბამისად.

10 – 32 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (შემდგომში „კომპანია“) (ს/კ 412670097) დარეგისტრირებულია 2010 წელს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა წყლის მოპოვება, დამუშვება და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში აბონენტებისათვის სასმელი წყლის მიწოდება; წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების პროექტირება, მშენებლობა, ექსპლუატაცია და ოპერირება. წყლის მიწოდება წარმოადგენს რეგულირებულ საქმიანობას და ტარიფი განსაზღვრულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ.

კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის სახელმწიფო. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №5 და №7. კომპანიას 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდიდან მიენიჭა საზოგადოებრივი დაინტერესების პირის სტატუსი. კომპანიის დირექტორია ბესიკ ჯიქურაული. დირექტორის ცვლილება მოხდა 2026 წელს. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დირექტორი იყო გიორგი შონია.

2. მომზადების საფუძველი

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია შენიშვნა 25-ში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია თავდაპირველი ღირებულების საფუძველზე. მონაცემები ყველგან დამრგვალებულია ათას ლარამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გ) ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ კომპანია საქმიანობას გააგრძელებს პროგნოზირებად მომავალში, სულ მცირე, საანგარიშგებო თარიღიდან მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში.

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს კომპანიის ზარალმა შეადგინა 257,074 ლარი (2024 წელი: 375,268 ლარი), ხოლო 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაგროვილი ზარალია 1,925,166 ლარი. კომპანიის საოპერაციო შემოსავლები არ არის საკმარისი მისი საოპერაციო ხარჯების დასაფარად, რის გამოც კომპანია დამოკიდებულია მისი ერთადერთი მესაკუთრის – საქართველოს მთავრობის – უწყვეტ ფინანსურ მხარდაჭერაზე, რომელიც ხორციელდება საოპერაციო სუბსიდიების (2025 წელს – 200,019 ლარი) და კაპიტალში შენატანების (2025 წელს – 580,101 ლარი) ფორმით. როგორც აღნიშნულია 22-ე შენიშვნაში, საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიამ ვერ დააკმაყოფილა საოპერაციო კოეფიციენტის ფინანსური პირობა.

წყალმომარაგების უწყვეტობის უზრუნველყოფა წარმოადგენს ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხს, შესაბამისად, საქართველოს მთავრობა იღებს პასუხისმგებლობას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობისა და მისი დაფინანსების უზრუნველყოფაზე. ხელმძღვანელობის შეფასებას ამყარებს მთავრობის მიერ სუბსიდიებისა და კაპიტალში შენატანების უწყვეტი უზრუნველყოფა, აგრეთვე, საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანიაში არსებული ფულადი სახსრები და საბანკო დეპოზიტები, რომლებიც უზრუნველყოფს საკმარის ლიკვიდობას.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფინანსური ანგარიშგების ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე მომზადება მართებულია და არ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება არსებითი ეჭვი გამოიწვიოს კომპანიის უნარზე, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

დ) ახალი და განახლებული ფასს სტანდარტების მიღება

სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც პირველად ამოქმედდა 2025 წლის განმავლობაში:

ბასს 21-ის ცვლილებები – გაცვლადობის არარსებობა

ცვლილებები ადგენს მოთხოვნებს იმ შემთხვევების იდენტიფიცირებისთვის, როდესაც ვალუტა არ არის გაცვლადი სხვა ვალუტაზე კონკრეტული შეფასების თარიღისთვის. იმ შემთხვევაში, როდესაც ვალუტა არ არის გაცვლადი, საწარმო ვალდებულია დაადგინოს სპოტ-სავალუტო კურსი შეფასების მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული ცვლილებების მიღებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

გამოშვებული სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები, რომლებიც არ არის ამოქმედებული

ქვემოთ წარმოდგენილია ის სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც გამოშვებულია, თუმცა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯერ არ არის ამოქმედებული და კომპანიას ნაადრევად არ მიუღია:

ძალაში შესვლა საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2026 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ

ფასს 9-ისა და ფასს 7-ის ცვლილებები (ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება) ითვალისწინებს:

- გარკვეული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და ჩამოწერის დროის დაზუსტებას, მათ შორის გამონაკლისს ზოგიერთი ფინანსური ვალდებულებისთვის, რომელიც იფარება ელექტრონული ფულადი გადარიცხვის სისტემის მეშვეობით;
- დამატებით განმარტებებსა და მითითებებს ფინანსური აქტივების შეფასებისთვის მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდების კრიტერიუმის (SPPI) შესაბამისად;
- ახალ გამჟღავნების მოთხოვნებს იმ ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომელთა სახელშეკრულებო პირობები შეიძლება იწვევდეს ფულადი ნაკადების ცვლილებას;
- ხელშეკრულებით დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი მახასიათებლების განმარტებას და თუ როგორ განსხვავდება ისინი არარეგრესული მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივებისგან, ასევე მოიცავს ფაქტორებს, რომლებიც კომპანიამ უნდა გაითვალისწინოს არარეგრესული მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივის ფულადი ნაკადების შეფასებისას („გადახედვის ტესტი“); და
- ცვლილებებს სამართლიან ღირებულებაზე სხვა ყოვლისმომცველ შემოსავალში კლასიფიცირებული კაპიტალის ინსტრუმენტების გამჟღავნებაში.

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესებები – ტომი 11

წლიური გაუმჯობესებები მოიცავს მცირე მასშტაბის ცვლილებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ფასს სტანდარტებში არსებული ტექსტის დაზუსტებას ან შედარებით უმნიშვნელო შეუსაბამობების, შეცდომებისა და წინააღმდეგობების გამოსწორებას. ცვლილებები შეეხება ფასს 1-ს, ფასს 7-ს, ფასს 9-ს, ფასს 10-ს და ბასს 7-ს.

ფასს 9-ისა და ფასს 7-ის ცვლილებები – ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიის კონტრაქტები

ცვლილებები აზუსტებს „საკუთარი გამოყენების“ მოთხოვნების გამოყენებას, ნებადართულს ხდის ჰეჯირების აღრიცხვას შესაბამის შემთხვევებში და შემოაქვს მიზნობრივი გამჟღავნების მოთხოვნები. ცვლილებები ვრცელდება იმ კონტრაქტებზე, რომლებიც საწარმოს აყენებს ელექტროენერგიის ფასის ცვალებადობის რისკის წინაშე ბუნებრივი, კონტროლს მიღმა არსებული ფაქტორების გამო.

აღნიშნული ცვლილებები ძალაში შედის წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2026 წლის 1 იანვარს ან შემდეგ. ცვლილებების ადრეული გამოყენება ნებადართულია. თუმცა, გარკვეული იურისდიქციებისთვის ცვლილებების გამოყენებამდე აუცილებელია მათი ოფიციალური დამტკიცება.

ძალაში შესვლა წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ

ბასს 21-ის ცვლილებები – ჰიპერინფლაციური პრეზენტაციის ვალუტაში წარდგენა

ცვლილებები ადგენს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის წესებს იმ შემთხვევებში, როდესაც საწარმოს პრეზენტაციის ვალუტა ჰიპერინფლაციური ეკონომიკის ვალუტაა, ხოლო ფუნქციური ვალუტა არა. ამის მიზანია ინფორმაციის სარგებლიანობის გაუმჯობესება და პრაქტიკაში არსებული განსხვავებების შემცირება.

ფასს 18 – ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენა და გამჟღავნება

ფასს 18 შემოაქვს ახალი მოთხოვნები ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენისა და ინფორმაციის გამჟღავნების მიმართულებით, მათ შორის:

- მოგება-ზარალის ანგარიშის განახლებული სტრუქტურა და სავალდებულო შუალედური ჯამები;
- ინფორმაციის აგრეგაციისა და დეზაგრეგაციის გაძლიერებული პრინციპები; და
- ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული შესრულების მაჩვენებლების გამჟღავნების მოთხოვნები.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფასს 18-ის გამოქვეყნების მიზანია კომპანიების ანგარიშგების შესადარისობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესება. ფასს 18-მა ასევე გამოიწვია მცირედი ცვლილებები ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

ფასს 19 – შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: გამჟღავნება

ფასს 19 უფლებას აძლევს უფლებამოსილ შვილობილ კომპანიებს გამოიყენონ ფასს სტანდარტები შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნებით, აღიარების, შეფასებისა და წარმოდგენის პრინციპების უცვლელად შენარჩუნებით. სტანდარტის გამოყენება ნებაყოფლობითია შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

ფასს 19-ის ცვლილებები – შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: გამჟღავნება

ცვლილებები ამცირებს გამჟღავნების მოთხოვნებს გარკვეული სტანდარტებისა და ცვლილებების მიმართ, მათ შორის ფასს 18-ის, მომწოდებელთა დაფინანსების შეთანხმებების, მეორე სვეტის (Pillar Two) საგადასახადო რეფორმის, ბასს 21-ის გაცვლადობის ცვლილებებისა და ფასს 9-ისა და ფასს 7-ის ცვლილებების ფარგლებში.

ამ ცვლილებების გამოყენების შემდეგ, ფასს 19 ასახავს IFRS საბუღალტრო სტანდარტებში განხორციელებულ ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შედის ფასს 19-ის ამოქმედების თარიღამდე. შემდგომში ფასს 19 შეიცვლება იმავე დროს, როდესაც გამოიცემა ან გადაიხედება სხვა ფასს საბუღალტრო სტანდარტები.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, რომელიც აღწერილია 25-ე შენიშვნაში, ხელმძღვანელობა ვალდებულია გამოიყენოს პროფესიული განსჯა და შეიმუშაოს შეფასებები და დაშვებები იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების განსაზღვრის მიზნით, რომელთა შეფასება სხვა ხელმისაწვდომი წყაროებიდან პირდაპირ არ არის შესაძლებელი. აღნიშნული შეფასებები და მათთან დაკავშირებული დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა იმ ფაქტორებს, რომლებიც მოცემულ გარემოებებში მიჩნეულია რელევანტურად. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს უწყვეტობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებებისა სასარგებლო მომსახურების ვადები

სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით მსგავსი აქტივების გამოცდილების გათვალისწინებით. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ხელმძღვანელობს ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა სავაჭრო მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. კოლექტიური მეთოდით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, კომპანია აჯგუფებს ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განისაზღვრება კომპანიის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში. კომპანიამ გამოიყენა გამონაკლისი ფასს 9 ის ბ5.5.50 და ბ5.5.51 პუნქტის მიხედვით და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის მომხმარებლებზე.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

კომპანია პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები/სხვა გრძელვადიანი აქტივები და დაუმთავრებელი

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

მშენებლობა დაკავშირებულია ერთი და იგივე კონტრაქტორთან ერთი და იგივე გრძელვადიანი აქტივის მშენებლობისთვის. აქტივის მშენებლობის კონტრაქტი წარმოადგენს გრძელვადიან, რთულ და არაშეწყვეტად ხელშეკრულებას, რომლის ფარგლებში გადახდილი თითოეული ტრანში კონტრაქტორისთვის წარმოქმნის აურიდებელ ვალდებულებას შეასრულოს სამუშაო. აღნიშნულის გათვალისწინებით კომპანია აღნიშნულ გრძელვადიანი აქტივებს განიხილავს გაუფასურებაზე ძირითად საშუალებებთან ერთად.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

კომპანიის მიერ ანარიცხის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარავად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა ეს პირობა არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულების წარდგენა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების ახსნა–განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების რეალურად განხორციელებამ იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის აღიარებული ან დაფიქსირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა–განმარტებით შენიშვნებში, შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

4. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა რისკებთან და რისკების მართვა მისი საქმიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. რისკი დამახასიათებელია კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა ხდება უწყვეტი პროცესის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს რისკის იდენტიფიცირებას, მის შეფასებას და ყოველდღიურ მონიტორინგს, მისი ზღვრის დადგენისა და კონტროლის მიზნით. კომპანიის ყველა წევრი ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობებთან დაკავშირებულ რისკთან მიმართებით. კომპანიის ოპერაციებთან დაკავშირებული მთავარი რისკებია საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. ასევე, რისკი დაკავშირებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთსა და უცხოური ვალუტის გაცვით კურსებთან დაკავშირებით. ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის რისკების მიმოხილვა და მათ მართვასთან დაკავშირებული ხელმძღვანელობის პოლიტიკა.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შეიცავს მიღებულ სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. აღნიშნული ფინანსური ინსტურმენტების მთავარი მიზანი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გამყარებაა. კომპანიის ფინანსური აქტივები შეიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, საბანკო დეპოზიტებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2025	31.12.2024
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	74,387	48,184
საბანკო დეპოზიტები	325,540	101,216
ფული და ფულის ეკვივალენტები	382,305	330,405
	782,232	**479,805**
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	1,456,300	1,337,869
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	219,830	178,130
	1,676,130	**1,515,999**

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით, რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ

4. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა (გაგრძელება)

გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

კომპანია ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და მიღებული სესხები მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის.

2025 და 2024 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
  - სავალუტო რისკი
  - საპროცენტო განაკვეთის რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის სტრუქტურული ერთეულებისთვის.

4. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშრებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი ასევე განპირობებულია ფული და ფულის ეკვივალენტებით და ბანკსა თუ სხვა ფინანსურ ინსტიტუტებში არსებული დეპოზიტებით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2025	31.12.2024
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	74,387	48,184
საბანკო დეპოზიტები	325,540	101,216
ფული და ფულის ეკვივალენტები	382,305	330,405
	782,232	**479,805**

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების დაფარვა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს.

წარმოდგენილი ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ეფუძნება ნარჩენ სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

31.12.2025	**1 წლამდე**	**1-დან 5 წლამდე**	**5 წელზე მეტი**	**სულ**
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	182,013	689,626	840,642	**1,712,281**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	170,794	49,036	-	**219,830**
	352,807	**738,662**	**840,642**	**1,932,111**

31.12.2024	**1 წლამდე**	**1-დან 5 წლამდე**	**5 წელზე მეტი**	**სულ**
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	35,010	639,427	948,197	**1,622,634**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	137,440	40,690	-	**178,130**
	172,450	**680,117**	**948,197**	**1,800,764**

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

სავალუტო რისკის ანალიზი უცხოურ ვალუტებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

აშშ დოლარი	**31.12.2025**	**31.12.2024**
	აშშ დოლარი 1 = 2.6951 ლარი	**აშშ დოლარი 1 = 2.8068 ლარი**
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	49,927	50,712
	49,927	**50,712**

4. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	560,213	596,806
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	67,087	67,583
	627,300	**664,389**
ღია სავალუტო პოზიცია	**(577,373)**	**(613,677)**

ევრო	**31.12.2025**	**31.12.2024**
	ევრო 1 = 3.1737 ლარი	**ევრო 1 = 2.9306 ლარი**
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	9,163	8,463
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	39,626	32,127
	48,789	**40,590**
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	474,687	323,434
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	36,090	25,359
	510,777	**348,793**
ღია სავალუტო პოზიცია	**(461,988)**	**(308,203)**

SDR*	**31.12.2025**	**31.12.2024**
	SDR 1 = 3.6909 ლარი	**SDR 1 = 3.6604 ლარი**
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	421,400	417,629
	421,400	**417,629**
ღია სავალუტო პოზიცია	**(421,400)**	**(417,629)**

***ნასესხობის სპეციალური უფლებები (SDR)** – საერთაშორისო სარეზერვო აქტივებია, რომლებიც შექმნილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ. SDR-ის ფასი დგინდება ყოველდღიურად შემდეგი ძირითადი ვალუტების კალათის გამოყენებით: ევრო, აშშ დოლარი, გირვანქა-სტერლინგი, იაპონური იენი და ჩინური იუანი. მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას აშშ დოლარის, ევროს და SDR*-ის ლართან მიმართებით 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მოცემული ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტი ძირითადად გამოწვეულია უცხოურ ვალუტაში მიღებული გრძელვადიანი სესხებით, რომლის ეფექტის რეალიზება არ მოხდება მოკლევადიან პერიოდში.

2025	**ლარი/აშშ დოლარი +20%**	**ლარი/აშშ დოლარი -20%**	**ლარი/ევრო +20%**	**ლარი/ევრო -20%**	**ლარი/SDR + 20%**	**ლარი/SDR – 20%**
მოგება/(ზარალი)	(115,475)	115,475	(92,398)	92,398	(84,280)	84,280

2024	**ლარი/აშშ დოლარი +20%**	**ლარი/აშშ დოლარი -20%**	**ლარი/ევრო +20%**	**ლარი/ევრო -20%**	**ლარი/SDR + 20%**	**ლარი/SDR – 20%**
მოგება/(ზარალი)	(122,735)	122,735	(61,641)	61,641	(83,526)	83,526

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები. 2025 და 2024 წლისთვის კომპანიის მიერ აღებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები დენომინირებულია აშშ დოლარსა და ევროში.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის როგორც არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვალებადი განაკვეთის ვალდებულებების შეთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტიან ცვლილებას) ან შემცირება ხდება

4. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში.

საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2025	2024
	პროცენტის ზრდა 1%-ით	**პროცენტის ზრდა 1%-ით**
მოგება დაბეგვრამდე	(9,329)	(8,266)
	პროცენტის შემცირება 1%-ით	**პროცენტის შემცირება 1%-ით**
მოგება დაბეგვრამდე	9,329	8,266

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვა. ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ერთი ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი. რეალურად, ცვლადები ერთმანეთთან კორელაციურ კავშირშია და ერთი ცვლადის ცვლილება გავლენას ახდენს სხვა დანარჩენზე. ცვლადებს შორის ურთიერთობა არ არის წრფივი და მცირე ან დიდი ცვლილება შეიძლება არ იყოს გამოსადეგი შედეგების ექსტრაპოლაციისთვის.

მგრძნობელობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს რომ კომპანიის აქტივები და ვალდებულებები იმართება აქტიურად. შესაბამისად, კომპანიის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება იყოს განსხვავებული საბაზრო ფაქტორების ცვლილებების დროს. კომპანიის ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია გაუმკლავდეს ბაზარზე არასასურველი ცვლილების ეფექტს. საინვესტიციო ბაზრების სწრაფად ცვლილების შესაბამისად, კომპანიის ხელმძღვანელობა ახორციელებს ინვესტიციების გაყიდვას, საინვესტიციო პორტფელის ცვლილებასა და სხვა დამცავ ქმედებებს. შედეგად, დაშვებების რეალურმა ცვლილებამ შესაძლებელია გავლენა არ მოახდინოს კომპანიის ვალდებულებებზე.

ზემოთ მოცემული მგრძნობელობის ანალიზი დამატებით შეზღუდულია იმით, რომ დაშვება არის ჰიპოთეტური პოტენციური რისკის დემონსტრაციისთვის და წარმოადგენს კომპანიის მოსაზრებას ბაზრის შესაძლო ცვლილებაზე. რეალურად ბაზრის სამომავლო ცვლილება შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს.

5. ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი ღირებულება	**მიწა**	**შენობა**	**დაუმთავრებელი მშენებლობა**	**წყლის სისტემასთან დაკავშრებული აღჭურვილობა**	**სატრანსპორტო საშუალება**	**ავეჯი და სხვა ინვენტარი**	**სულ**
31 დეკემბერი 2023	**143,252**	**138,632**	**1,127,124**	**536,315**	**32,999**	**2,028**	**1,980,350**
შემოსვლა	797	1	478,092	4,572	6,415	658	**490,535**
კაპიტალში შეტანა	5,415	2,056	-	-	41	-	**7,512**
გასვლა	(1,330)	(207)	-	(66)	(41)	-	**(1,644)**
გადატანა	-	17,027	(101,196)	84,147	-	22	**-**
31 დეკემბერი 2024	**148,134**	**157,509**	**1,504,020**	**624,968**	**39,414**	**2,708**	**2,476,753**
შემოსვლა	68	11	547,722	6,012	3,887	838	**558,538**
კაპიტალში შეტანა*	7,128	60	-	14	113	-	**7,315**
გასვლა	(33)	-	-	-	(577)	-	**(610)**
გადატანა	-	16,274	(127,326)	111,052	-	-	**-**
31 დეკემბერი 2025	**155,297**	**173,854**	**1,924,416**	**742,046**	**42,837**	**3,546**	**3,041,996**
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება							
31 დეკემბერი 2023	**-**	**(63,048)**	**(448,170)**	**(300,875)**	**(17,430)**	**(1,189)**	**(830,712)**
ცვეთა	-	(3,188)	-	(12,670)	(2,891)	(325)	**(19,074)**
გაუფასურება**	-	(18,304)	(261,497)	(76,578)	(3,250)	(297)	**(359,926)**
გასვლა	-	5	-	66	-	-	**71**
31 დეკემბერი 2024	**-**	**(84,535)**	**(709,667)**	**(390,057)**	**(23,571)**	**(1,811)**	**(1,209,641)**
ცვეთა	-	(2,514)	-	(14,354)	(2,743)	(386)	**(19,997)**
გაუფასურება**	-	(13,679)	(253,973)	(70,591)	(2,186)	(283)	**(340,712)**
გასვლა	-	-	-	-	159	-	**159**
31 დეკემბერი 2025	**-**	**(100,728)**	**(963,640)**	**(475,002)**	**(28,341)**	**(2,480)**	**(1,570,191)**
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2024	**148,134**	**72,974**	**794,353**	**234,911**	**15,843**	**897**	**1,267,112**
31 დეკემბერი 2025	**155,297**	**73,126**	**960,776**	**267,044**	**14,496**	**1,066**	**1,471,805**

***კაპიტალში შეტანილი აქტივები**

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის კაპიტალში შეტანილი სატრანსპორტო საშუალებების,

5. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

მიწებისა და შენობების რეალური ღირებულება განისაზღვრა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. შეფასებული აქტივების ნაწილი არასპეციალიზებულია და მათი რეალური ღირებულება განისაზღვრა საბაზრო მიდგომის გამოყენებით. იმ აქტივებისთვის, რომლებიც ბაზარზე დამოუკიდებლად არ იყიდება, შეფასებისას გამოყენებულ იქნა დანახარჯების მიდგომა და ასევე ნორმატიული ფასები, მიწის ნაკვეთებისა და შენობების შემთხვევაში.

****გაუფასურებაზე ტესტირება**

კომპანიამ გამოიყენა დამოუკიდებელი შემფასებელი შპს KPMG Georgia 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების ტესტირებისთვის.

კომპანიის ძირითადი საშუალებების დიდი ნაწილი სპეციალიზებულია და იშვიათად იყიდება ძირითად ბაზარზე, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც გაყიდვა ხდება მოქმედ ბიზნესთან ერთად. შედეგად, ასეთი ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულება განისაზღვრა ამორტიზირებული ჩანაცვლების ღირებულების მეთოდით, გარდა მიწის, სატრანსპორტო საშუალებებისა და შენობების ნაწილის, რომელთა შეფასების შემთხვევაშიც გამოყენებული იყო საბაზრო მიდგომა.

ამორტიზირებული ჩანაცვლების ღირებულების მეთოდით ძირითადი საშუალებების ჩანაცვლების ხარჯი ითვალისწინებს აქტივის ფიზიკურ დაზიანებას, ფუნქციურ (ტექნოლოგიურ) მოძველებას და ეკონომიკურ (გარეგნულ) დაძველებას.

ამორტიზირებული ჩანაცვლების ღირებულება განისაზღვრა შიდა წყაროებისა და მსგავსი აქტივების ადგილობრივი (ქართული) და საერთაშორისო ბაზრების ანალიზის საფუძველზე.

გარდა ამისა, ასევე ჩატარდა ფულადი ნაკადების ტესტირებაც, იმის შესამოწმებლად არის თუ არა აქტივები გაუფასურებული. ვინაიდან დისკონტირებული ფულადი ნაკადების ღირებულება ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე ჩანაცვლების ღირებულება, აღნიშნული მიუთითებს, რომ 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტივები გაუფასურებულია.

ძირითადი დაშვებები რომლებიც გამოყენებულია გამოყენების ღირებულების გაანგარიშებაში

შემდეგი ძირითადი დაშვებებია გამოყენებული ფულადი ნაკადების ტესტირების პროცესში:

- მომავალი ფულადი ნაკადების პროგნოზი გაკეთებულია ფაქტობრივი საოპერაციო შედეგებისა და შეფასების თარიღისთვის არსებულ ბიზნეს გეგმაზე დაყრდნობით.
- ფულადი ნაკადების ტესტირების მიზნებისთვის, ხელმძღვანელობამ ყველა ძირითადი საშუალება განიხილა როგორც ერთი ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეული, რადგან ისინი ურთიერთდამოკიდებულია და გონივრულობის საფუძველზე, შეუძლებელია ფულადი ნაკადების გადინების არსებითი ნაწილების თითოეულ აქტივზე გადანაწილება.
- ყველა ბიზნესის ღირებულება (იქნება ეს საწარმოს ღირებულება, ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის თუ სპეციფიკური აქტივების ჯგუფის ერთობლიობა) შედგება ორი კომპონენტისგან - საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები. თეორიულად, საწარმოს/ბიზნესის დონეზე, კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების მიხედვით დისკონტირებული კონსოლიდირებული ფულადი ნაკადები უნდა უდრიდეს შემდეგი კომპონენტების ჯამს: (1) კაპიტალის მფლობელების ფულადი ნაკადები, რომელიც დისკონტირებულია კაპიტალის ღირებულებით, (2) ვალდებულებების მფლობელების ფულადი ნაკადები, რომელიც დისკონტირებულია ვალდებულებების ღირებულებით.
- კომპანიის არსებული საოპერაციო მოდელი კაპიტალის მფლობელს არ აძლევს შესაძლებლობას მიიღოს რამე სახის მოგება კაპიტალის ფლობიდან. აღნიშნული ფაქტის გამომწვევი მიზეზია: 1) არსებული სატარიფო რეგულაციების შედეგად ვერ ხდება ხარჯების, სესხის დაფარვების და კაპიტალური ხარჯების დაფარვა. 2) სახელმწიფოსგან მიღებული ნებისმიერი სუბსიდია გამოყენებულია ფულადი დეფიციტის აღმოსაფხვრელად, შედეგად სუბსიდიები კაპიტალის მფლობელისთვის ვერ ქმნის დამატებით ღირებულებას.
- სახელმწიფოსგან მიღებული სუბსიდიები გამოყენებული იქნება კომპანიის ძირითადი საშუალებებისთვის ინვესტირებული სესხების დასაფარად. ამ თვალსაზრისით, სესხის დაფარვის შემდგომ დარჩენილი ფულადი ნაკადები (თავისუფალი ფულადი ნაკადები) (1) არის ურისკო ფულადი სახსრები (2) იქნება პროცენტისა და სესხის ძირის ღირებულების ტოლი (3) გარანტირებულია სახელმწიფოს მხრიდან.

მახასიათებლებიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს ფულადი ნაკადების რისკის დონეს და სესხის ღირებულებას (2025 და 2024 წლებისთვის საშუალოდ 15,45% და 13,72% შესაბამისად), დისკონტირებული თავისუფალი ფულადი ნაკადები სესხის რეალური ღირებულების ტოლი უნდა იყოს. დაშვების საფუძველზე, სესხის რეალური ღირებულება განსაზღვრულია მისი საბალანსო ღირებულებით. შედეგად, ანალიზის თარიღისთვის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გამოყენების ღირებულება შედგება საკუთარი კაპიტალის ღირებულებას დამატებული ვალდებულებების რეალური ღირებულება.

5. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2025	2024
გრძელვადიანი აქტივები:		
ძირითადი საშუალებები	(340,712)	(359,926)
გრძელვადიანი აქტივისათვის გადახდილი ავანსები	(32,112)	(51,091)
სხვა გრძელვადიანი აქტივები	(612)	(964)
არამატერიალური აქტივები	(24)	(22)
	(373,460)	**(412,003)**

6. გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები

გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები წარმოადგენს კონტრაქტორებისთვის სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოებისთვის გადახდილ თანხებს. 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილმა ავანსებმა შეადგინა 121,489 ლარი და 155,217 ლარი, შესაბამისად. გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები 2025 და 2024 წლის მდგომარეობით შემცირებულია გაუფასურების თანხით 32,112 და 51,091 ლარი, შესაბამისად.

7. სხვა გრძელვადიანი აქტივები

2013 წლის 20 აგვისტოს საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება “წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი II“-ის განსახორციელებლად. 2013 წლის 23 ნოემბერს გაფორმებული ქვესასესხო ხელშეკრულების საფუძველზე აღნიშნული სესხის მიმღებად განისაზღვრა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“. 2014 წლის 13 ივნისს გაფორმებული საპროექტო შეთანხმების თანახმად, პროექტის უშუალო განმახორციელებლად განისაზღვრა სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“ ხოლო პროექტის მიმღებად შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“. ზემოაღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, პროექტის საბოლოო ჩაბარება უნდა განხორციელდეს სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ შორის გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების საფუძველზე. აღნიშნული აქტივების ნაწილი უკვე დასრულებულია, მაგრამ ჯერ არ არის იურიდიულად გადმოცემული კომპანიისთვის. გადმოცემის იურიდიული პროცესის დასრულების გარეშე კომპანიას შეზღუდული აქვს აქტივების გამოყენება ხელმძღვანელობის მიერ განზრახული მიზნებისთვის. 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა გრძელვადიანმა აქტივებმა შეადგინა 2,315 და 2,927 ლარი, შესაბამისად. სხვა გრძელვადიანი აქტივები 2025 და 2024 წლების მდგომარეობით შემცირებულია გაუფასურების თანხით 612 და 964 ლარი, შესაბამისად.

8. მარაგები

	31.12.2025	31.12.2024
ნედლეული და მასალები	15,500	11,643
საწვავი	127	157
	15,627	**11,800**

9. წინასწარ გადახდილი გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით კომპანიამ გადასახადები ერთიან სახაზინო კოდზე უნდა გადაიხადოს, აღნიშნული კოდი გამოიყენება ყველა სახის გადასახადისთვის. შესაბამისად, კომპანია 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრისთვის საგადასახადო აქტივებს და ვალდებულებებს წარადგენს ნეტო საფუძველზე თანხით 47,971 და 32,110 ლარს, როგორც საგადასახადო აქტივს, შესაბამისად. საგადასახადო აქტივის ძირითად ნაწილს წარმოადგენს წყლის სისტემების რეაბილიტაციის და მშენებლობის პროექტებისთვის გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადი.

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2025	31.12.2024
მიმდინარე:		
ფინანსური აქტივები*		
წყლის მიწოდებიდან წარმოქმნილი სავაჭრო მოთხოვნები	8,775	9,300
საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო	27,815	2,140
გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი	1,400	450
საფრანგეთის განვითარების სააგენტო	3,250	2,000
სხვა მოთხოვნები	9,798	6,757
	51,038	**20,647**

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

გრძელვადიანი:		
ფინანსური აქტივები*		
გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი	9,526	10,516
საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო	7,160	5,008
საფრანგეთის განვითარების სააგენტო	6,663	12,013
	23,349	**27,537**
სულ მოთხოვნები	**74,387**	**48,184**

*ფინანსური აქტივები მოიცავს შემდეგს:

- საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიმართ არსებული მოთხოვნა წარმოადგენს EIB III-ის ფარგლებში სახაზინო ანგარიშზე ჩარიცხული სესხისა და გრანტის თანხიდან წარმოქმნილ მოთხოვნას. 2018 წლის 27 სექტემბერს ევროპის საინვესტიციო ბანკს (EIB), საქართველოს სახელმწიფოსა და კომპანიას შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება „ქუთაისის წყალარინების პროექტის“ 3,250 ევროთი დაფინანსებაზე. აღნიშნული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში დაფინანსება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ჩაირიცხა სახაზინო ანგარიშზე. მიღებული გრანტის თანხამ 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრისთვის შეადგინა 11,334 ათასი ლარი.
- გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის მიმართ მოთხოვნა დაკავშირებულია მიღებულ გრანტთან. კერძოდ, 2020 წლის 18 სექტემბერს კომპანიამ, საქართველოს მთავრობამ და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკმა (KFW) ხელი მოაწერეს საგრანტო ხელშეკრულებას (პროექტი „თანამედროვე ღონისძიებები - კომუნალური ინფრასტრუქტურა გარემოსა და ტურიზმისთვის“), რომელიც ითვალისწინებდა პროექტის 5,000 ევროს ოდენობით დაფინანსებას. მიღებული გრანტის თანხამ 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 15,952 ათასი ლარი.
- საფრანგეთის განვითარების სააგენტოს მიმართ მოთხოვნა დაკავშირებულია მიღებულ გრანტთან. კერძოდ, 2021 წლის 26 მარტს კომპანიამ, საქართველოს მთავრობამ და საფრანგეთის განვითარების სააგენტომ (AFD) ხელი მოაწერეს საგრანტო ხელშეკრულებას ("ქალაქ ხაშურსა და მიმდებარე დასახლებების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის გაუმჯობესების პროექტი"), რომელიც ითვალისწინებდა პროექტის 7,150 ევროს ოდენობით დაფინანსებას. მიღებული გრანტის თანხამ 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 19,878 ათასი ლარი.
- ზემოაღნიშნული დაფინანსებების ფარგლებში 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული გრანტი შესაბამისად შეადგენს 47,164 ათას ლარს.
- საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიმართ მოთხოვნა მოიცავს დამფინანსებელი ორგანიზაციების (EIB და AFD) მიერ ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში სამინისტროს ანგარიშზე ჩარიცხულ თანხებს, რომლებიც კომპანიისთვის გადასარიცხია. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნულმა მოთხოვნამ შეადგინა 34,975 ლარი (მიმდინარე ნაწილი: 27,815 ლარი; გრძელვადიანი ნაწილი: 7,160 ლარი), ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით — 7,148 ლარი (მიმდინარე ნაწილი: 2,140 ლარი; გრძელვადიანი ნაწილი: 5,008 ლარი).

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები არ არის გაუფასურებული და მათი საბალანსო ღირებულება დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

საანგარიშგებო თარიღისთვის სავაჭრო მოთხოვნების მიღების ალბათობის შესაფასებლად კომპანია იყენებს ისტორიულ მონაცემებს. თუ მოთხოვნის ვადაგადაცილება აჭარბებს 2 თვეს, კომპანია შესაბამისად აკორექტირებს

მოთხოვნებსა და შემოსავალს. სავაჭრო მოთხოვნების დაფარვის მოკლე ვადისა და აღწერილი კორექტირების პრინციპის გათვალისწინებით, კომპანია არ წარადგენს ფასს 9-ით მოთხოვნილ ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესახებ.

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

11. საბანკო დეპოზიტები

	დაფარვის თარიღი	**საპროცენტო განაკვეთი**	**ვალუტა**	**31.12.2025**	**31.12.2024**
სს თიბისი ბანკი	6/30/2026	11.0%	ლარი	275,000	-
სს ლიბერთი ბანკი	6/8/2026	11.5%	ლარი	50,000	-
სს საქართველოს ბანკი	6/27/2025	14.6%	ლარი	-	100,000
დეპოზიტებზე დარიცხული მისაღები საპროცენტო შემოსავალი				540	1,216
				325,540	**101,216**

საბანკო დეპოზიტები მოიცავს დეპოზიტზე განთავსებულ სახსრებსა და მათზე დარიცხულ საპროცენტო მოთხოვნას, რამაც 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 325,000 და 540 ლარი, შესაბამისად, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 100,000 და 1,216 ლარი, შესაბამისად.

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2025	31.12.2024
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	**265,062**	**245,055**
სს საქართველოს ბანკი	250,000	175,000
სს ლიბერთი ბანკი	15,062	55
სს თიბისი ბანკი	-	70,000
ფული ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	**58,153**	**26,175**
ხაზინა	58,153	26,175
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	**55,895**	**57,128**
სს თიბისი ბანკი	41,762	43,493
სს ლიბერთი ბანკი	13,307	12,776
სს ტერაბანკი	826	859
ფული ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	**3,195**	**2,047**
ხაზინა	3,195	2,047
	382,305	**330,405**

კომპანიის ფინანსური შემოსავალი მოიცავს საპროცენტო შემოსავალს საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხებიდან.

ფულის და ფულის ეკვივალენტების სტრუქტურა ვალუტების მიხედვით მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

13. საწესდებო კაპიტალი და სხვა რეზერვები

	2025	2024
საწესდებო კაპიტალი 1 იანვრის მდგომარეობით	**459,651**	**453,581**
საწესდებო კაპიტალის ზრდა არაფულადი აქტივებით	7,315	7,512
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(6,016)	(1,442)
საწესდებო კაპიტალი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**460,950**	**459,651**

სხვა რეზერვები წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან კომპანიაში შენატანებს, რომელიც გამიზნულია კაპიტალში შესატანად. აღნიშნული შენატანები მოიცავს გადასახადებს (ძირითადად დღგ), რომელიც წყლის სისტემების რეაბილიტაციის და მშენებლობის პროექტებისთვის გადახდილია დამფუძნებლის (სახელმწიფოს) მიერ და სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტებისათვის გამოყოფილ ფულად სახსრებს.

	2025	2024
სხვა რეზერვები 1 იანვარი	**1,593,508**	**1,019,086**
კაპიტალის ზრდა ფულადი აქტივით	580,101	574,422
სხვა რეზერვები 31 დეკემბერი	**2,173,609**	**1,593,508**

14. მიღებული სესხები

კომპანიას 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული აქვს სესხები საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან, რომელმაც თავის მხრივ, ფულადი სახსრები მოიზიდა საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებიდან და ქვესასესხო ხელშეკრულებით გადასცა კომპანიას.

ევროპის საინვესტიციო ბანკისგან მიღებული სესხები:

2010 წლის 14 სექტემბერს ევროპის საინვესტიციო ბანკს (EIB) და საქართველოს სახელმწიფოს შორის გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება „საქართველოს - წყლის ინფრასტრუქტურის განახლების“ პროექტის 40,000 ევროთი დაფინანსებაზე. 2010 წლის 30 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ქვესასესხო ხელშეკრულებებში გადასცა აღნიშნული სესხი კომპანიას იგივე პირობებით, რაც მთავარ სასესხო ხელშეკრულებებში არის დაფიქსირებული (EUROLIBOR+0.82%). 2011 წლის ოქტომბრიდან კომპანიამ ვერ შეძლო ქვესასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების შესრულება (პროცენტის ვალდებულების დაფარვა), რის შედეგად 2012 წლის 5 აპრილს ქვესასესხო ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და კომპანიას გადაუვადდა პროცენტის თანხის გადახდა 2014 წლის 20 აპრილამდე. აღნიშნული თარიღის შემდეგ სესხის პირობები არ შეცვლილა.

2015 წლის 15 ოქტომბერს ევროპის საინვეტიციო ბანკს (EIB) და საქართველოს სახელმწიფოს შორის გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება „ქუთაისის წყალარინების პროექტის“ 100,000 ევროთი დაფინანსებაზე. 2016 წლის 15 თებერვალს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ქვესასესხო ხელშეკრულებით გადასცა აღნიშნული სესხი სრული ოდენობით შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ იმავე პირობით რაც მთავარ სასესხო ხელშეკრულებაშია დაფიქსირებული (1.002%).

2013 წლის 20 აგვისტოს ევროპის საინვესტიციო ბანკს (EIB) და საქართველოს სახელმწიფოს შორის გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება „საქართველოს - წყლის ინფრასტრუქტურის განახლების “ II პროექტის 40,000 ევროთი დაფინანსებაზე. 2013 წლის 26 ნოემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ქვესასესხო ხელშეკრულებით გადასცა აღნიშნული სესხი კომპანიას იგივე პირობებით, რაც მთავარ სასესხო ხელშეკრულებებში არის დაფიქსირებული. საპროცენტო განაკვეთი ხელშეკრულების პირობების მიხედვით დგინდება უშუალოდ სესხის

14. მიღებული სესხები (გაგრძელება)

მიღების დროს. კომპანიამ 2014 წლის 22 დეკემბერს მიიღო 23,225 ევრო შემდეგი საპროცენტო განაკვეთით - 1.693%, ხოლო 2016 წლის 12 აგვისტოს მიიღო 8,351 ევრო შემდეგი საპროცენტო განაკვეთით - 0.856%.

აზიის განვითარების ბანკისგან მიღებული სესხები:

2011 წლის 10 მაისს აზიის განვითარების ბანკს (ADB) და საქართველოს სახელმწიფოს შორის გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა - პროექტი I”, რომლითაც განისაზღვრა დაფინანსება 51,343 SDR-ის ოდენობით. 2011 წლის 30 ივნისს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ქვესასესხო ხელშეკრულებით გადასცა აღნიშნული სესხის ნაწილი 40,681 SDR კომპანიას სესხის კომპონენტ 1 და 3-ის დასაფინანსებლად, იმავე პირობებით, რაც მთავარ სასესხო ხელშეკრულებაშია დაფიქსირებული (წლიური 1% 2019 წლის 15 იანვრამდე, 2020 წლის 15 იანვრიდან სრულ დაფარვამდე წლიური 1.5%). 2013 წლის თებერვლის მდგომარეობით ქვესასესხო ხელშეკრულება შეიცვალა და გაიზარდა 47,611 SDR-მდე, კომპანია დაინიშნა პროექტის განმახორციელებლად. 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდში სესხი დაიხურა და სესხის ფაქტიურად ათვისებულმა თანხამ შეადგინა 48,482 SDR.

2011 წლის 1 დეკემბერს აზიის განვითარების ბანკსა (ADB) და საქართველოს სახელმწიფოს შორის გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა - პროექტი II-ის“ 25,047 SDR-ით დაფინანსებაზე. 2011 წლის 23 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ქვესასესხო ხელშეკრულებით გადასცა სესხი სრული ოდენობით, იმავე პირობით რაც მთავარ სასესხო ხელშეკრულებაშია დაფიქსირებული (წლიური 1% 2020 წლის 15 მარტამდე, 2020 წლის 15 მარტიდან სესხის სრულ დაფარვამდე წლიური 1.5%). 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდში სესხი დაიხურა და სესხის ფაქტიურად ათვისებულმა თანხამ შეადგინა 22,950 SDR.

2013 წლის 19 დეკემბერს აზიის განვითარების ბანკსა (ADB) და საქართველოს სახელმწიფოს შორის გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა - პროექტი III-ის“ 64,205 SDR-ით დაფინანსებაზე. 2014 წლის 7 მარტს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ქვესასესხო ხელშეკრულებით გადასცა აღნიშნული სესხი სრული ოდენობით, იმავე პირობით რაც მთავარ სასესხო ხელშეკრულებაშია დაფიქსირებული (წლიური 2% სესხის სრულ დაფარვამდე). 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდში სესხი დაიხურა და სესხის ფაქტიურად ათვისებულმა თანხამ შეადგინა 58,810 SDR.

2015 წლის 5 თებერვალს აზიის განვითარების ბანკსა (ADB) და საქართველოს სახელმწიფოს შორის გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა - პროექტი IV-ის“ 108,000 აშშ დოლარით დაფინანსებაზე. 2015 წლის 26 მარტს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ქვესასესხო ხელშეკრულებით გადასცა აღნიშნული სესხი სრული ოდენობით, იმავე პირობით რაც მთავარ სასესხო ხელშეკრულებაშია დაფიქსირებული (LIBOR+0.70%). 2022 წლის საანაგრიშგებო პერიოდიდან სესხის საპროცენტო განაკვეთი შეიცვალა SOFR+0.70%-ით. 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდში სესხი დაიხურა და სესხის ფაქტიურად ათვისებულმა თანხამ შეადგინა 102,228 აშშ დოლარი.

2015 წლის 26 ოქტომბერს აზიის განვითარების ბანკსა (ADB) და საქართველოს სახელმწიფოს შორის გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა - პროექტი V-I-ის“ 43,000 USD-ით დაფინანსებაზე. 2016 წლის 29 იანვარს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ქვესასესხო ხელშეკრულებით გადასცა აღნიშნული სესხი სრული ოდენობით, იმავე პირობით რაც მთავარ სასესხო ხელშეკრულებაშია დაფიქსირებული (LIBOR+0.70%). 2023 წლის საანაგრიშგებო პერიოდიდან სესხის საპროცენტო განაკვეთი შეიცვალა SOFR+0.70%-ით. 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდში სესხი დაიხურა და სესხის ფაქტიურად ათვისებულმა თანხამ შეადგინა 37,568 აშშ დოლარი.

2015 წლის 26 ოქტომბერს აზიის განვითარების ბანკსა (ADB) და საქართველოს სახელმწიფოს შორის გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა - პროექტი V- II-ის“ 23,005 SDR-ით დაფინანსებაზე. 2016 წლის 29 იანვარს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ქვესასესხო ხელშეკრულებით გადასცა აღნიშნული სესხი სრული ოდენობით, იმავე პირობით რაც მთავარ სასესხო ხელშეკრულებაშია დაფიქსირებული (წლიური 2% სესხის სრულ დაფარვამდე). 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდში სესხი დაიხურა და სესხის ფაქტიურად ათვისებულმა თანხამ შეადგინა 19,961 SDR.

2016 წლის 15 დეკემბერს აზიის განვითარების ბანკსა (ADB) და საქართველოს სახელმწიფოს შორის გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა - პროექტი VI-ის“ 99,000 USD-ით დაფინანსებაზე. 2017 წლის 24 თებერვალს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ქვესასესხო ხელშეკრულებით გადასცა აღნიშნული სესხი სრული ოდენობით, იმავე პირობით რაც მთავარ სასესხო ხელშეკრულებაშია დაფიქსირებული (LIBOR+0.70%). 2022 წლის საანაგრიშგებო პერიოდის მეორე ნახევრიდან სესხის საპროცენტო განაკვეთი შეიცვალა SOFR+0.70%+0.15%-ით. 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდში სესხი დაიხურა და სესხის ფაქტიურად ათვისებულმა თანხამ შეადგინა 79,088 აშშ დოლარი.

14. მიღებული სესხები (გაგრძელება)

2020 წლის 15 ოქტომბერს აზიის განვითარების ბანკსა (ADB) და საქართველოს შორის გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება “მდგრადი წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის განვითარების პროექტის“ 17,740 ევროთი დაფინანსებაზე. 2021 წლის 31 მარტს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ქვესასესხო ხელშეკრულებით გადასცა აღნიშნული სესხი სრული ოდენობით, იმავე პირობით რაც მთავარ სასესხო ხელშეკრულებაშია დაფიქსირებული (EURIBOR+0.70%+0.15%).

გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკისგან მიღებული სესხები:

2020 წლის 7 აგვისტოს გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KFW) და საქართველოს სახელმწიფოს შორის გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება „კომუნალური ინფრასტრუქტურა გარემოსა და ტურიზმისათვის (ტრანშები „ა“ და „ბ“)“ 130,000 ევროთი დაფინანსებაზე. 2021 წლის 13 იანვარს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ქვესასესხო ხელშეკრულებით გადასცა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ აღნიშნული სესხი სრული ოდენობით, იმავე პირობით რაც მთავარ სასესხო ხელშეკრულებაშია დაფიქსირებული (EURIBOR+0.50%+Commitment Fee 0.25%).

საფრანგეთის განვითარების სააგენტოსგან მიღებული სესხები:

2020 წლის 31 ივლისს საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (AFD) და საქართველოს სახელმწიფოს შორის გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება „ქალაქ ხაშურისა და მიმდებარე დასახლებების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მომსახურების გაუმჯობესება“ 58,000 ევროთი დაფინანსებაზე. 2021 წლის პირველ ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ქვესასესხო ხელშეკრულებით გადასცა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ აღნიშნული სესხი სრული ოდენობით, იმავე პირობით რაც მთავარ სასესხო ხელშეკრულებაშია დაფიქსირებული (Commitment Fee 0.50%, Euribor + Adjustment margin%)

2024 წლის 19 აგვისტოს საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (AFD) და საქართველოს სახელმწიფოს შორის გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება „ქალაქ ხაშურის წყალარინების სისტემების მომსახურების გაუმჯობესება“ 30,000 ევროთი დაფინანსებაზე. 2025 წლის 19 თებერვალს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ქვესასესხო ხელშეკრულებით გადასცა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ აღნიშნული სესხი სრული ოდენობით, იმავე პირობით რაც მთავარ სასესხო ხელშეკრულებაშია დაფიქსირებული (Commitment Fee 0.50%, Euribor + Adjustment margin 0.9%)

გრძელვადიანი:

ფინანსთა სამინისტრო:	**საპროცენტო განაკვეთი**	**ვალუტა**	**მიღების თარიღი**	**დაფარვის თარიღი**	**31.12.2025**	**31.12.2024**
ADB I	1.5%	SDR	10-05-11	15-01-31	123,714	138,362
ADB II	1.5%	SDR	01-12-11	15-09-31	64,110	72,066
ADB III	2%	SDR	19-12-13	15-11-28	97,314	144,764
ADB IV	SOFR+ 0.7%	აშშ დოლარი	05-02-15	01-12-44	228,790	250,103
ADB V-I	SOFR+ 0.7%	აშშ დოლარი	26-10-15	15-03-39	101,250	105,447
ADB V-II	2%	SDR	26-10-15	15-09-30	52,679	60,208
ADB VI	SOFR+ 0.7%	აშშ დოლარი	15-12-16	01-10-41	213,149	221,983
ADB VII	EUROLIBOR + 0.7% Com fee 0.15%	ევრო	15-10-20	15-04-43	32,308	25,319
EIB I	EURIBOR+0.82%	ევრო	14-09-10	20-04-39	89,002	89,364
EIB II-I	1.69%	ევრო	20-08-13	20-07-39	60,917	59,969
EIB II-II	0.86%	ევრო	20-08-13	20-07-41	23,082	22,640
EIB II-III	0.73%	ევრო	20-08-13	22-06-46	11,333	10,733
EIB III	1.00%	ევრო	15-10-15	20-02-46	3,174	2,931
KFW	Com fee 0.25%, Euribor+0.5%	ევრო	07-08-20	15-05-35	53,442	36,357
AFD I	Com fee 0.5%;Euribor+adj margin%	ევრო	31-07-21	16-02-40	139,918	76,773
AFD II	Com fee 0.5%;Euribor+adj margin%	ევრო	19-08-24	25-04-44	3,174	-
სესხის ადმინისტრირების გადასახადი					(3,113)	(2,978)
					1,294,243	**1,314,041**

14. მიღებული სესხები (გაგრძელება)

მიმდინარე:

ფინანსთა სამინისტრო:	**საპროცენტო განაკვეთი**	**ვალუტა**	**მიღების თარიღი**	**დაფარვის თარიღი**	**31.12.2025**	**31.12.2024**
ADB I	1.5%	SDR	10-05-11	15-01-31	17,011	996
ADB II	1.5%	SDR	01-12-11	15-09-31	8,906	348
ADB III	2%	SDR	19-12-13	15-11-28	49,143	482
ADB IV	SOFR+ 0.7%	აშშ დოლარი	05-02-15	01-12-44	12,908	14,329
ADB V-I	SOFR+ 0.7%	აშშ დოლარი	26-10-15	15-03-39	1,612	1,942
ADB V-II	2%	SDR	26-10-15	15-09-30	8,523	403
ADB VI	SOFR+ 0.7%	აშშ დოლარი	15-12-16	01-10-41	2,504	3,002
ADB VII	EUROLIBOR + 0.7% Com fee 0.15%	ევრო	15-10-20	15-04-43	234	-
EIB I	EURIBOR+0.82%	ევრო	14-09-10	20-04-39	8,343	614
EIB II-I	1.69%	ევრო	20-08-13	20-07-39	4,478	448
EIB II-II	0.86%	ევრო	20-08-13	20-07-41	1,529	85
EIB II-III	0.73%	ევრო	20-08-13	22-06-46	328	35
EIB III	1.00%	ევრო	15-10-15	20-02-46	11	11
KFW	Com fee 0.25%, Euribor+0.5%	ევრო	13-01-21	15-05-35	39,675	222
AFD I	Com fee 0.5%;Euribor+adj margin%	ევრო	31-07-21	16-02-40	6,492	1,176
AFD II	Com fee 0.5%;Euribor+adj margin%	ევრო	19-08-24	25-04-44	103	-
ფინანსთა სამინისტრო		ევრო	18-02-25	10-06-26	545	-
სესხის ადმინისტრირების გადასახადი					(288)	(265)
					162,057	**23,828**
სულ სესხები					**1,456,300**	**1,337,869**

კომპანიის სესხები არ არის უზრუნველყოფილი.

სესხების საბალანსო ღირებულება არსებითად შეესაბამება მის რეალურ ღირებულებას. სესხების ანალიზი ვალუტების მიხედვით მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,337,869**
ფულადი მოძრაობა:	
მიღებული სესხები	41,249
სესხების დაფარვა	(12,110)
გადახდილი პროცენტი	(53,477)
გადახდილი ადმინისტრირების მოსაკრებელი	(443)
არაფულადი მოძრაობა:	
მიღებული სესხები	82,916
სესხების დაფარვა	(1,540)
დარიცხული პროცენტი	53,568
წმინდა საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა	8,268
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,456,300**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,230,012**
ფულადი მოძრაობა:	
მიღებული სესხები	29,555
სესხების დაფარვა	(22,023)
გადახდილი პროცენტი	(53,542)
ADB-ის ფარგლებში დაბრუნებული თანხები	(1,090)
არაფულადი მოძრაობა:	
მიღებული სესხები	77,007
სესხების დაფარვა	(3,057)
დარიცხული პროცენტი	54,599
წმინდა საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა	26,408
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,337,869**

დამატებითი ინფორმაცია კოვენანტებთან დაკავშირებით მოცემულია 22-ე შენიშვნაში.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2025	31.12.2024
მოკლევადიანი:		
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები*	53,934	45,436
საგარანტიო ვალდებულება**	59,536	34,666
გამოთხოვილი საბანკო გარანტია***	57,324	57,338
სულ ფინანსური ვალდებულებები	**170,794**	**137,440**
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	2,413	2,102
სასამართლო დავებთან დაკავშირებული ანარიცხები****	6,431	4,640
სულ არაფინანსური ვალდებულებები	**8,844**	**6,742**
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**179,638**	**144,182**
გრძელვადიანი:		
ფინანსური ვალდებულებები		
საგარანტიო ვალდებულება**	49,036	40,690
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**49,036**	**40,690**
სულ ვალდებულებები	**228,674**	**184,872**

*ვალდებულებები ძირითადად მოიცავს წყლის მომარაგების სისტემის რეაბილიტაციის განხორციელებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**საგარანტიო ვალდებულებები მოიცავს საგარანტიო პერიოდში კონტრაქტორებისთვის ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ღირებულებიდან დაკავებულ თანხებს.

***გამოთხოვილი საბანკო გარანტიის ვალდებულება მოიცავს კონტრაგენტთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში გამოთხოვილ საბანკო გარანტიის თანხას.

****სასამართლო დავების ანარიცხები მოიცავს კომპანიის 2025 და 2024 წლების განმავლობაში არსებულ სასამართლო დავებს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტების განმახორციელებელ კონტრაგენტებთან საკონტრაქტო პირობების მიხედვით და დავებს ყოფილ თანამშრომლებთან, რომლებიც კომპანიისგან ითხოვენ სხვადასხვა სახის კომპენსაციას.

სასამართლო დავებთან დაკავშირებული ანარიცხების რეკონსილაცია 2025 და 2025 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2025	31.12.2024
31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,640**	**1,999**
პერიოდის ეფექტი მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე	1,791	2,641
31 დეკემბრის მდგომარეობით	**6,431**	**4,640**

აუდიტორისთვის მიცემული ანაზღაურება გადასახადების გარეშე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2025	2024
ფინანსური ანგარიშგების აუდიტი	136	98
სხვა მარწმუნებელი მომსახურება	-	24
	136	**122**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მის რეალურ ღირებულებას. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ანალიზი ვალუტების მიხედვით მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

16. ამონაგები

	2025	2024
წყალმომარაგებიდან მიღებული შემოსავლები	54,566	50,429
შემოსავლები სხვა მომსახურებების გაწევიდან	4,200	5,163
	58,766	**55,592**

17. სახელმწიფო სუბსიდიები

საქართველოს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილმა სუბსიდიამ 2025 და 2024 წელს 200 და 151 მილიონი ლარი შეადგინა, შესაბამისად. აღნიშნული სუბსიდია გამოყენებულ უნდა იქნას 2026 წელს, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული სასესხო ვალდებულების დასაფარად. დამატებითი ინფორმაცია მიღებული სესხების შესახებ მოცემულია მე-14 განმარტებით შენიშვნაში.

18. სხვა შემოსავალი

	2025	2024
საბანკო გარანტიები	3,681	181
უსასყიდლოდ გადმოცემული აქტივები	490	461
ჯარიმები	86	93
სხვა	337	32
	4,594	**767**

19. სხვა ხარჯები

	2025	2024
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	(12,273)	(10,692)
ტექნიკური მომსახურება და მიმდინარე რემონტი	(3,883)	(4,785)
დაცვის ხარჯი	(2,660)	(2,349)
იჯარა	(2,544)	(2,199)
სასამართლო დავებთან დაკავშირებული ანარიცხი	(1,791)	(2,744)
მივლინება და წარმომადგენლობითი ხარჯები	(735)	(588)
მოსაკრებლების ხარჯი	(665)	(550)
დაზღვევის ხარჯები	(544)	(617)
კომუნიკაციის ხარჯი	(452)	(400)
პროგრამული მომსახურება	(387)	(502)
პროფესიული მომსახურებები	(250)	(263)
სხვა	(1,807)	(1,235)
	(27,991)	**(26,924)**

20. სესხებთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯი

საპროცენტო ხარჯი:	2025	2024
ფინანსთა სამინისტრო (ADB)	(39,577)	(44,465)
ფინანსთა სამინისტრო (AFD)	(6,906)	(3,066)
ფინანსთა სამინისტრო (EIB)	(4,629)	(5,509)
ფინანსთა სამინისტრო (KfW)	(2,456)	(1,559)
სულ საპროცენტო ხარჯი სესხის პროცენტის კაპიტალიზაციამდე	**(53,568)**	**(54,599)**
სესხის პროცენტის კაპიტალიზაცია	38,582	38,293
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან	(8,268)	(26,408)
საპროცენტო ხარჯი, წმინდა	**(23,254)**	**(42,714)**

21. საკურსო სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება/(ზარალი), წმინდა

	2025	2024
ეფექტი სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე	2,758	(3,506)
ეფექტი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე	(1,493)	2,061
	1,265	**(1,445)**

22. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან. კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

კოვენანტები - აზიის განვითარების ბანკთან (ADB) არსებული სასესხო ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ ფინანსურ კოეფიციენტებს: ოპერაციული სისტემის კოეფიციენტი, შემოსავლების ამოღების მაჩვენებელი და სავალე მომსახურების დაფარვის კოეფიციენტი. მოცემული მიზნებისთვის სახელმწიფო მოხსენიებულია როგორც მსესხებელი და შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, როგორც სესხის ქვე-მიმღები. შეთანხმების მიხედვით:

2020 წლის სექტემბერში აზიის განვითარების ბანკთან (ADB) არსებული სასესხო ხელშეკრულებაში შესული ცვლილების შესაბამისად, სახელმწიფომ, როგორც მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ოპერაციული სისტემების კოეფიციენტმა 2023 წლის ბოლოსთვის მიაღწიოს 1-ს და შემდგომში შეინარჩუნოს და გახადოს ის 1-ზე ნაკლები.

22. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

სესხის ხელშეკრულების მიზნებისთვის საოპერაციო სისტემების კოეფიციენტი შეიცავს კომპანიის ოპერაციებთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და შემოსავალს. საოპერაციო ხარჯი შეიცავს შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ოპერაციებთან დაკავშირებულ ისეთ ხარჯებს, როგორიცაა პერსონალის ხარჯები (63,506), ელექტროენერგიის ხარჯი (39,141), ქიმიკატები და სახარჯო მასალები, მიმდინარე რემონტი, სათადარიგო ნაწილები და სხვა (37,021), მაგრამ არ მოიცავს კაპიტალურ ხარჯებს, სესხებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, ცვეთას და ამორტიზაციას. საოპერაციო შემოსავალი (58,766) მოიცავს წყალმომარაგებიდან მიღებულ შემოსავლებს და სხვა შემოსავლებს (4,594) სახელმწიფოსგან მიღებული გრანტების გარდა.

საოპერაციო სისტემების კოეფიციენტი:

$$= \frac{\text{პერსონალის ხარჯი + ელექტროენერგია + ქიმიკატები/ სახარჯო მასალები, მიმდინარე რემონტი, სათადარიგო ნაწილები და სხვა}}{\text{საოპერაციო შემოსავალი + სხვა შემოსავალი}}$$

მსესხებელმა უნდა დაავალოს ქვე-მიმღებს გააუმჯობესოს მომსახურების გაწევა და როგორც შიდა ისე არა-შიდა მომხმარებლებისგან შემოსავლების შეგროვება, 2020 ფისკალური წლიდან 2024 ფისკალური წლის ჩათვლით ყოველწლიურად საშუალოდ შემოსავლების 95%-იანი შეგროვების მიღწევის გზით. მსესხებელმა ასევე უნდა დაავალოს ქვე-მიმღებს შეამციროს წყლის არამიზნობრივი და არაეფექტური გამოყენება 35 მილიონი კუბური მეტრით, უკანონო დაერთებებისა და მრიცხველების უზუსტობების აღმოფხვრით, 2025 ფისკალური წლის ბოლოსათვის აბონენტთა სულ მცირე 80%-ის გამრიცხველიანების გზით. კომპანია ფინანსური კოეფიციენტებს ითვლის შემდეგნაირად:

წყლის მიწოდებიდან მიღებული ფულადი სახსრები მოიცავს მომხმრებლებისგან უშუალოდ წყლის მიწოდებიდან მიღებულ და საყოფაცხოვრებო აბონენტებისთვის სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებულ თანხებს. აღნიშნულმა 2025 და 2024 წლებისთვის შესაბამისად შეადგინა 55,137 და 50,937 ლარი. გამომდინარე იქიდან, რომ შემოსავლების ამოღების კოვენანტის მიზანს წარმოადგენს უზუსტობების აღმოფხვრა და შემოსავლების შეგროვების გაუმჯობესება, კომპანია მხოლოდ შემოსავლების ამოღების მაჩვენებლის დათვლისას იყენებს საანგარიშგებო პერიოდის მანძილზე წყლის მიწოდებიდან წარმოშობილი შემოსავლების პროგრამა ბილინგის დარიცხვის მონაცემს. აღნიშნულმა 2025 და 2024 წლებისთვის შესაბამისად შეადგინა 56,636 და 53,317 ლარი.

$$\text{შემოსავლების ამოღების მაჩვენებლი} = \frac{\text{წყლის მიწოდებიდან მიღებული ფულადი სახსრები}}{\text{წყლის მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი}}$$

სავალე მომსახურების დაფარვის კოეფიციენტი:

$$= \frac{\text{საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები და სახელმწიფოსგან მიღებული ყველა სუბსიდია და გრანტი}}{\text{სავალე მომსახურება}}$$

სადაც: სავალე მომსახურება = წლის განმავლობაში გადახდილი სესხის პროცენტი + წლის განმავლობაში გადახდილი სესხის ძირი.

კოვენანტების დარღვევის შემთხვევაში სესხის ხელშეკრულებით არ არის გათვალისიწნებული თანხის გამოთხოვა. კოეფიციენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2025	2024
ოპერაციული სისტემების კოეფიციენტი	2.20 (მიზანი <1 ირღვევა)	2.15 (მიზანი <1 ირღვევა)
სავალე მომსახურების დაფარვის კოეფიციენტი	2.48 (მიზანი >1 არ ირღვევა)	1.33 (მიზანი >1 არ ირღვევა)
შემოსავლების ამოღების მაჩვენებელი	0.97 (მიზანი ≥ 95%, არ ირღვევა)	0.96 (მიზანი ≥ 95%, არ ირღვევა)

საქართველოს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილმა სუბსიდიამ 2024 წელს 151 მილიონი ლარი, ხოლო 2025 წელს სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილმა სუბსიდიამ 200 მილიონი ლარი შეადგინა. აღნიშნული სუბსიდია გამოყენებულ უნდა იქნას 2026 წელს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული სასესხო ვალდებულების დასაფარად. ვალის დაფარვის კოეფიციენტი გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით მნიშვნელოვნადაა გაზრდილი, რაც ძირითადად განპირობებულია სასესხო ვალდებულებების დაფარვისთვის ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების ზრდით. კერძოდ, 2025 წელს კომპანიამ მიიღო 200 მილიონი ლარის ოდენობის სახელმწიფო სუბსიდია, რომელიც განკუთვნილია 2026 წელს გადასახდელი სასესხო ვალდებულებების მომსახურებისთვის. შესაბამისად, აღნიშნული თანხა 2025 წელს წინასწარ იქნა მიღებული და ანგარიშგების თარიღისთვის ხელმისაწვდომი იყო სასესხო ვალდებულებების დასაფარად. შედარებით, 2024 წელს სახელმწიფო სუბსიდიამ შეადგინა 151 მილიონი ლარი, საიდანაც 76 მილიონი ლარი მიმართული იყო 2024 წლის სასესხო ვალდებულებების დაფარვაზე, ხოლო 75 მილიონი ლარი – 2025 წლის სასესხო ვალდებულებებისა და საოპერაციო ხარჯების დაფინანსებაზე. ამასთან, 2025 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ბანკის დეპოზიტებზე განთავსებულ თანხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავალი. სახელმწიფო სუბსიდიისა და საპროცენტო შემოსავლის ერთობლივმა ზრდამ 2024 წელთან შედარებით დაახლოებით 70 მილიონი ლარი შეადგინა. გარდა ამისა, 2025 წელს

22. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

სასესხო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯის დაფარვა 2024 წელთან შედარებით დაახლოებით 10 მილიონი ლარით ნაკლები იყო, რაც ზემოაღნიშნულ ფაქტორებთან ერთად განაპირობებს ვალის დაფარვის კოეფიციენტის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

კომპანიამ ADB-ისგან ქვე-სასესხო ხელშეკრულებით მიღებული სესხები წარადგინა გრძელვადიან ვალდებულებად, რადგან ხელშეკრულების პირობების მიხედვით არ არსებობდა ვალდებულების ვადამდე დაფარვის მოთხოვნის უფლება.

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ სახელმწიფო კომპანიაა, მისი ერთადერთი მფლობელია საქართველოს სახელმწიფო. სხვა სახელმწიფო კომპანიები და სამთავრობო ორგანიზაციები კომპანიისთვის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ. კომპანია აღნიშნულ კომპანიებს მომსახურებას იგივე ტარიფებით აწვდის, რითაც ნებისმიერ არადაკავშირებულ მხარეს.

კომპანია იყენებს ბასს 24-ის 25-ე პარაგრაფით განსაზღვრულ შეღავათს და არ წარადგენს დაკავშირებულ მხარეებთან სახელმწიფო კომპანიებთან და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებთან ტრანზაქციების და ნაშთების შესახებ ინფორმაციას.

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2025	2024
თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	841	734

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულმა სესხებმა შეადგინა 59,844 ლარი, ხოლო მათ მიმართ განხორციელებულმა სასესხო ვალდებულებების დაფარვამ შეადგინა 94,451 ლარი. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი ჰქონდა დირექტორის ცვლილებას, გიორგი შონია ჩაანაცვლა ბესიკ ჯიქურაულმა.

25. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული რეალური ღირებულებით გადაანგარიშდება რეალური ღირებულების დადგენის დღისათვის არსებული სავალუტო კურსით. კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი) ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „საკურსო სხვაობიდან წარმოქმნილი ზარალი, წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	დოლარი	ევრო
2025 წლის 31 დეკემბერი	2.6951	3.1737
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია

25.არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.
ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ბანკში არსებულ თანხებს ან სამ თვემდე არსებულ დეპოზიტებს.

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ ზარალს აღრიცხავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლზე და სახელშეკრულებო აქტივზე. აღნიშნული მიდგომის მიხედვით, არსებობის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. გამარტივებული მიდგომა განიხილავს ზარალს სრულად მთელი პორტფოლიოსთვის, განურჩევლად იმისა ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას პირველადი აღიარების შემდგომ. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია კომპანიის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში. კომპანიამ გამოიყენა გამონაკლისი ფასს 9 ის ბ5.5.50 და ბ5.5.51 პუნქტის მიხედვით და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის მომხმარებლებზე.

ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მარაგების გარდა სხვა არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის მასშტაბი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი. ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და

გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია თავდაპირველი ღირებულების, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ანარიცხებს შორის სხვაობის ღირებულებით, მათ შორის ის ძირითადი საშუალებებიც, რომლებიც რეალური ღირებულებით არის აღიარებული 2016 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღისთვის და ეს რეალური ღირებულება ხელმძღვანელობამ მიიღო, როგორც აღნიშნული აქტივების დასაშვები თავდაპირველი ღირებულება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებებისა ყველა ჯგუფისათვის. აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას

25.არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად კომპანიის მიერ დასახული მიზნებისათვის. სასარგებლო მომსახურების ვადები ძირითადი საშუალებების ძირითადი ჯგუფებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლი მომსახურების ვადა (წელი)
მიწა	ცვეთა არ ერიცხება
დაუმთავრებელი მშენებლობა	ცვეთა არ ერიცხება
შენობები	6-65
ქსელის სპეციალიზრებული მოწყობილობები და ნაგებობები	5-55
სატრანსპორტო საშუალება	5-13
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-10

სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები ძირითადად შედგება კომპიუტერული პროგრამებისგან. ისინი აღირიცხება თვითღირებულების და აკუმულირებული ამორტიზაციის სხვაობის თანხით. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით. არამატერიალური აქტივების სასარგებლო-მომსახურების ვადა წარმოადგენს 10 წელს.

მარაგები

კომპანიის მარაგებს წარმოადგენს საწვავი და კომპანიის საოპერაციო საქმიანობისთვის საჭირო მასალები.

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

კაპიტალის ოპერაციები

კაპიტალის ზრდა აღირიცხება შეტანილი აქტივების რეალური ღირებულებით. კაპიტალის შემცირება აღირიცხება გატანილი აქტივების საბალანსო ღირებულებით. არაფულადი აქტივების გატანა კაპიტალიდან არ შედის ფაისკ 17-ის (არაფულადი აქტივების განაწილება მესაკუთრეებზე) მოქმედების სფეროში გამომდინარე იქიდან, რომ გატანილი აქტივის საბოლოო მესაკუთრე არ იცვლება.

აქტივთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები, რეალური ღირებულებით არ აღიარდება მანამ, სანამ არ იარსებებს დამაჯერებელი რწმენა, რომ:

ა) საწარმო შეასრულებს მასთან დაკავშირებულ პირობებს; და

ბ) გრანტი იქნება მიღებული.

აქტივთან დაკავშირებული გრანტები ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიღებული გრანტის სახით.

სახელმწიფო გრანტი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, სისტემატურ საფუძველზე, იმ პერიოდებში, რომელშიც საწარმო ხარჯად აღიარებს დანახარჯებს, რომელთა დაფინანსებაც გრანტით ხდება.

შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 - ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიხედვით კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა, დროის გარკვეულ მომენტში აღიარებს შემოსავალს.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენს იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის წყლის მიწოდებიდან და ქსელის დაერთებიდან მიღებული შემოსავლები. ქსელის დაერთებიდან დარიცხული თანხები მოიცავს კონტრაქტორების მიერ ქსელის მშენებლობის ღირებულებას და სატენდერო ხელშეკრულების შესაბამისად გამოთვლილ მარჟას. სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალური მიმოხილვა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

25.არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

წყალმომარაგებიდან მიღებული შემოსავალი

იურიდიული და ფიზიკური პირების წყალმომარაგებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც

მომხმარებელზე გადადის საქონელთან დაკავშირებული კონტროლი. კომპანია ამონაგებს აღიარებს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. საანგარიშგებო თარიღისთვის სავაჭრო მოთხოვნების მიღების ალბათობის შესაფასებლად კომპანია იყენებს ისტორიულ მონაცემებს, რის საფუძველზეც ხელმძღვანელობა თვლის, რომ თუ მოთხოვნის ვადაგადაცილება აჭარბებს 2 თვეს, ამგვარი მოთხოვნის აღიარება არ აკმაყოფილებს შემოსავლის აღიარების კრიტერიუმს და შესაბამისად აკორექტირებს შემოსავალს. კუბური მეტრი წყლის მოხმარების ტარიფი რეგულირებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ.

მოსახლეობისგან წყლის მიწოდებით მიღებული შემოსავალი შედგება:

ა) ყოველთვიურად მიღებული თანხებისგან, რომელიც იანგარიშება მრიცხველის ჩვენების მიხედვით მოხმარებული წყლის მოცულობის საფუძველზე და მიწოდებული წყლის თითოეული ერთეულისთვის განსაზღვრული შესაბამისი ტარიფების გამოყენებით;

ბ) თითოეულ მისამართზე ქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ რეგისტრირებული მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით (მრიცხველის გარეშე), ძირითადი მოსახლეობისთვის თითოეულ სულზე განსაზღვრული ტარიფის გამოყენებით.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

წყლის მიწოდებასთან დაკავშირებული ფასი ფიქსირებულია და განსაზღვრულია სახელმწიფოს მიერ. გამრიცხველიანებულ სეგმენტზე ფასი განსაზღვრულია თითოეულ ოჯახზე და საწარმოზე ტარიფის მრიცხველის მონაცემზე გამრავლებით, ხოლო გაუმრიცხველიანებელ ნაწილზე სულადობრივი ტარიფის რეგისტრირებულ მოსახლეობაზე გამრავლებით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

საკონტრაქტო ღირებულება განსაზღვრულია, როგორც წყალმომარაგებისთვის ასევე წყალარინებისთვის. აღნიშნული არ განიხილება, როგორც ცალკე შესასრულებელი ვალდებულებები და კომპანია არ ახდენს ამ ორ მომსახურებას შორის საკონტრაქტო ღირებულების გადანაწილებას. სხვა მომსახურებებისთვის (მოვლა, შეკეთება და სხვა) კომპანია აფორმებს ინდივიდუალურ ხელშეკრულებებს, რომელიც აღიარებულია როგორც ერთი შესასრულებელი ვალდებულება.

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავლში მისაღები ან გადასახადელი სავარაუდო ფულადი სახსრები ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებას (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) დისკონტირების ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები ჩაირთვება განსაკუთრებული აქტივის თვითღირებულებაში. განსაკუთრებული აქტივი არის ისეთი აქტივი, რომლის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად მომზადებისთვის საჭიროა დროის მნიშვნელოვანი პერიოდი. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იქნა გაწეული.

25.არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს პროცენტს და საკურსო სხვაობის ზარალს, იმ მოცულობით რომლითაც იგი აკორექტირებს საპროცენტო ხარჯებს.

სახელმწიფო სუბსიდიები

ვინაიდან წყლის მუდმივი მიწოდება ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას კომპანიის მომავალ ფუნქციონირებაზე და უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში მის დაფინანსებას. სუბსიდიის მიღება ხდება უპირობოდ, ყოველგვარი ვალდებულების წარმოქმნის გარეშე და შესაბამისად კომპანია მას განიხილავს, როგორც მისი შემოსავლის წყაროს და აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

მიმდინარე საგადასახადო აქტივი და მოგების გადასახადის ხარჯი

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში

რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონონიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (UWSCG) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომლის 100% წილის მფლობელი სახელმწიფოა, ხოლო პარტნიორი - ინფრასტრუქტურის სამინისტრო. კომპანია დაარსდა 2010 წლის 14 იანვარს, საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 2010 წლის 11 იანვრის N1-1/13 ბრძანების საფუძველზე. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელით მომსახურებას ახორციელებს მთელი საქართველოს მასშტაბით, ქ. თბილისის, ქ. მცხეთის, ქ. რუსთავის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა.

კომპანიის სტრუქტურა შედგება თბილისის სათაო ოფისისგან, 9 რეგიონული ფილიალისა და 59 სერვის ცენტრისგან. კომპანიაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა შეადგენს 2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით 3,919 ადამიანს. თანამშრომელთა 69 % დასაქმებულია ტექნიკურ, 19 % -კომერციულ / ფინანსურ, ხოლო 12 % - ადმინისტრაციულ სფეროში.

წყალმომარაგების სექტორში მოქმედებს 2017 წლის 10 აგვისტოს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ №21 დადგენილებით დამტკიცებული ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებულ მიდგომებს და ითვალისწინებს საოპერაციო დანახარჯების ოპტიმიზაციის მიზნით წამახალისებელი რეგულირების პრინციპებს. აღნიშნული სატარიფო მეთოდოლოგიის საფუძველზე ტარიფები დგინდება 3 წლით, თუმცა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისათვის“ ტარიფი განისაზღვრა 2010 წელს და მას შემდგომ განახლება არ მომხდარა.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 17 აგვისტოს N17 დადგენილების შესაბამისად, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მომხმარებლებისათვის სამომხმარებლო ტარიფის ზედა ზღვარი განსაზღვრულია: ფიზიკური მრიცხველიანი პირებისათვის 0,499 ლარით (დღგ-ს ჩათვლით), ფიზიკური უმრიცხველო პირებისათვის 2,395 (დღგ-ს ჩათვლით), ხოლო იურიდიული პირებისათვის 4,307ლარით (დღგ-ს ჩათვლით).

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 ნოემბრის დადგენილება N584 ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ იურიდიული პირის საზოგადოებრივი დაინტერესების პირად განსაზღვრის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“-ის საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2019 წლის 23 ნოემბრის N 1781 ბრძანებით, შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ მიენიჭა საზოგადოებრივი დაინტერესების პირის სტატუსი.

2025 წლის მონაცემებით, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ ემსახურება 419 ათასზე მეტ აბონენტს, რაც 970 ათასზე მეტი ბენეფიციარის ტოლია.

2. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს შემდეგს:

- წყლის მოპოვება, დამუშავება და მომხმარებლებისთვის მიწოდება;
- წყალარინებით მომსახურება,
- წყალმომარაგების/წყალარინების ქსელების პროექტირება/მშენებლობა/ექსპლუატაცია
- წყლის ხარისხის კონტროლი.

კომპანია ემსახურება 389 ათასზე მეტ საყოფაცხოვრებო და 30 ათასზე მეტ არასაყოფაცხოვრებო აბონენტს. საქართველოს მთავრობის ძირითადი სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი მიზანია საქართველოს მოსახლეობის 24 საათიანი და სტანდარტებთან შესაბამისი უწყვეტი წყალმომარაგებით უზრუნველყოფა. 2011 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ, სასმელ წყალსა და წყალარინებაზე ხელმისაწვდომობა გამოცხადდა ადამიანის უფლებად. სასმელი წყლისა და წყალარინების მომსახურების მიმწოდებელმა კომპანიებმა უნდა გაითვალისწინონ მოთხოვნასთან შესაბამისობის, ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და მომხმარებლის გადახდისუნარიანობის პრინციპები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის მთავარი მიზნებია:

- 24 საათიანი წყალმომარაგება ყოველ ქალაქში, დაბაში, კურორტსა და სოფელში;
- კომპანიის დაფარვის არეალში მყოფი ქალაქების გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა;
- მოსახლეობის სრული ხელმისაწვდომობა წყალმომარაგებაზე;
- კომპანიის დამოუკიდებელი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა;
- ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;
- ენერგო-ეფექტური დანადგარების გამოყენება;
- წყლის დანაკარგების შემცირება;
- გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირება.

2. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

სახელმწიფოს სტრატეგიაში გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად: მოსახლეობისათვის 24 საათიანი, სტანდარტების შესაბამისი ხარისხიანი წყლის მისაწოდებლად საჭიროა მასშტაბური საინვესტიციო პროექტების განხორციელება, სწორედ ამიტომ სახელმწიფო ბიუჯეტი ითვალისწინებს წყლის სტრატეგიის შესაბამისად გამოსაყოფი გრანტისა და სუბსიდიის თანხებს, რომლითაც შესაძლებელია საინვესტიციო პროექტების განხორციელება. ასევე სახელმწიფო არის შუამავალი საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებსა და წყალმომარაგების კომპანიას შორის და გვევლინება სასესხო ვალდებულებების შესრულების გარანტად.

3. ხარისხის მართვა

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ ახორციელებს სასმელი წყლის ხარისხის კონტროლს კომპანიის ლაბორატორიების მეშვეობით. ლაბორატორია ფუნქციონირებს სათაო ოფისში, 9 რეგიონულ ფილიალში და 38 სერვის ცენტრში და აერთიანებენ 65-ზე მეტ თანამშრომელს.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილებით დამტკიცებული „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნების შესაბამისად, კომპანია აწარმოებს წყლის ხარისხის მონიტორინგს სათავე ნაგებობებსა და წყალგამანაწილებელი ქსელის სხვადასხვა საკონტროლო წერტილში.

წყლის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები;
- ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები;
- მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები.

2025 წელს მონიტორინგის ფარგლებში განხორციელდა 43,150-ზე მეტი წყლის ნიმუშის ლაბორატორიული კვლევა. კომპანიის ოპერირების არეალში არსებული სასმელი წყალი შეესაბამება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნებს. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საგამოცდო ლაბორატორია აკრედიტირებულია სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს მიერ და ლაბორატორია მოქმედებს სტანდარტის ISO/IEC 17025:2017/2018 მოთხოვნათა შესაბამისად.

4. ინვესტიციები და განვითარების გეგმები

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მთავარი მიზანია საქართველოს მოსახლეობის გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა, როგორც წყალმომარაგების ასევე წყალარინების მიმართულებით, აღნიშნული მიზნის რეალიზაცია მოითხოვს დამატებითი ინვესტიციების განხორციელებასა და კაპიტალის დაბანდებას განსაზღვრულ პროექტებში, ასევე რესურსების მოძიებას ფინანსური ინსტიტუტებიდან. კომპანიის ინვესტიციების დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები:

- აზიის განვითარების ბანკი - ADB;
- ევროპის საინვესტიციო ბანკი - EIB;
- გერმანიის განვითარების ბანკი - KFW;
- საფრანგეთის განვითარების სააგენტო - AFD.

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისაგან ფინანსური რესურსის მისაღებად აუცილებელია შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, მოქმედ ან სამომავლოდ განსაზღვრულ პერიოდში, აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებსა და კოვენანტებს. საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისათვის სესხის გაცემის დროს მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური სტაბილურობის განმსაზღვრელი, საოპერაციო საქმიანობის წარმატებისა და შემოსავლიანობის ზრდის მაჩვენებლები.

მას შემდეგ რაც შესაძლებელი გახდება, საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფოს მთავარ მიმართულებებში წყლის სტრატეგიის მიზნის შესრულება - საქართველოს სრული მასშტაბით 24 საათიანი წყალმომარაგების უზრუნველყოფა, კომპანიამ უნდა შეძლოს დამოუკიდებლად ფუნქციონირება და ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება.

სახელმწიფო ბიუჯეტში შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისთვის“ გათვალისწინებული დაფინანსება 2012 წლიდან 2025 წლამდე გაიზარდა 34 მლნ. ლარიდან 882 მლნ. ლარამდე.

კომპანიისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები ძირითადად მიმართულია შემდეგი აქტივობების განსახორციელებლად:

- ***რეგიონებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება*** - ამორტიზებული წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის განახლება, წყალარინების ქსელის გამწმენდი სისტემების შექმნა, ამორტიზებული ქსელის რეაბილიტაცია, ენერგოეფექტური მოწყობილობების შესყიდვა და დანახარჯების შემცირება;
- ***თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა*** - მიუხედავად იმისა რომ კომპანიაში დანერგილია GIS და SCADA ტექნოლოგიები, დაფარვის უმეტეს არეალში საჭიროა სისტემის ახლებური მოწყობა;
- ***წყლის დანაკარგების შემცირება*** - აბონენტების გამრიცხველიანება, წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია;

4. ინვესტიციები და განვითარების გეგმები (გაგრძელება)

- ***ახალი წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელის მოწყობა;***
- ***მოპოვებული წყლის აღრიცხვის მოწესრიგება;***
- ***უმრიცხველო აბონენტების გამრიცხველიანება.***

განხორციელებული ინვესტიციების მასშტაბურობის მიუხედავად წყალმომარაგების კომპანია კვლავ დგას მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე, რომელთა დაძლევა წარმოადგენს კომპანიის სამომავლო სტრატეგიის მთავარ მიზანს.

5. სამოქმედო გეგმა და სტრატეგია

კომპანიის სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ ძირითად აქტივობებს:

- კომპანიის დაფარვის არეალში მყოფი ქალაქების 24 საათიანი წყალმომარაგებით უზრუნველყოფა;
- კომპანიის დაფარვის არეალში მყოფი ქალაქებისა და ტურისტული პოტენციალის მქონე დაბების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი წყალარინების სისტემებითა და გამწმენდი ნაგებობებით უზრუნველყოფა;
- ახალი აბონენტების აყვანა დაფარვის სრულ არეალში;
- დასრულებული და მიმდინარე პროექტების ფარგლებში ახალი მომხმარებლების წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურებით უზრუნველყოფა;
- გაფორმებულ სასესხო ხელშეკრულებებში არსებული კოვენანტების შესრულება;
- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება;
- გამრიცხველიანების ნიშნულის გაუმჯობესება;
- ენერგო-ეფექტური დანადგარების გამოყენება;
- კომერციულ-ტექნიკური დანაკარგების შემცირება.

კომპანიის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ეტაპობრივად, დაფარვის არეალში მყოფი მოსახლეობის 24 საათიანი უწყვეტი წყალმომარაგებით უზრუნველყოფა, ამ მიმართულებით კი აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები. არსებული მდგომარეობით კომპანიის დაფარვის არეალში მყოფი 48 ქალაქიდან 31 ქალაქი ანუ 65% უზრუნველყოფილია 24 საათიანი წყალმომარაგებით, ხოლო დარჩენილი ქალაქების 24 საათიანი წყალმომარაგებით უზრუნველყოფის მიზნით აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები, რომელთა დასრულების შემდგომაც ეტაპობრივად კომპანიის დაფარვის არეალში მყოფი ქალაქების 100% უზრუნველყოფილი იქნება უწყვეტი წყალმომარაგებით.

გარდა ქალაქებისა,სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია ასევე არაურბაუნული დასახლებების წყალმოამრაგებით უზრუნველყოფა. 2025 წლის ნოემბერში გაფორმდა ახალი სასესხო ხელშეკრულება აზიის განვითარების ბანკთან (ADB) - შედეგებზე ორიენტირებული სესხი (RBL), რომელიც მიზნად ისახავს კომპანიის დაფარვის არეალში მყოფი სოფლებისა და დაბების მოსახლეობის სტანდარტის შესაბამისი უწყვეტი წყალმომარაგებით უზრუნველყოფას. პროექტის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით 100-ზე მეტ ლოკაციაზე განხორციელდება 400 მლნ ევროს ოდენობის ინვესტიცია, რის შედეგადაც დაფარვის არეალში მყოფ სოფლებსა და დაბებში მცხოვრები 150-ათასზე მეტი ბენეფიციარი ისარგებლებს სტანდარტის შესაბამისი უწყვეტი წყალმომარაგებით.

გარდა წყალმომარაგებისა, საქართველოს პრემიერ მინისტრისა და მთავრობის ინიციატივით განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ქალაქებისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი წყალარინების ქსელებისაა და გამწმენდი ნაგებობების მოწყობის საკითხს. შედეგად, ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები კომპანიის დაფარვის არეალში მყოფი 48 ქალაქის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი წყალარინების ქსელისა და წყალარინების გამწმენდი ნაგებობებით უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავების ეტაპზეა ქალაქების 11 წლიანი განვითარების სტრატეგია, რომლის განხორციელების შედეგადაც კომპანიის დაფარვის არეალში მყოფი 48 ქალაქი ეტაპობრივად უზრუნველყოფილი იქნება გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურით.

6. საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2025 წელს კომპანიის აბონენტების რაოდენობა გაიზარდა 419 ათას აბონენტამდე. კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა 58,766 ათას ლარს (დღგ-ს გარეშე) მიაღწია, ხოლო საოპერაციო ხარჯები (გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების ხარჯის გარეშე) გაიზარდა 159,717 ათას ლარამდე. აღნიშნული თანხა მოიცავს ცვეთისა და ქონების გადასახადს (დღგ-ს გარეშე, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით). საოპერაციო ხარჯების ძირითადი ნაწილი ელექტრო ენერგიისა და შრომის ანაზღაურების ხარჯებზე ნაწილდება.

6. საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)



გრაფიკი 1 საოპერაციო ხარჯების გადანაწილება

2025 წელს, 2024 წელთან კომპანიის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ოდენობა გაიზარდა 147 მილიონი კილოვატიდან 163 მილიონ კილოვატამდე. ხოლო ელექტროენერგიის ხარჯი დაახლოებით 15%-ით გაიზარდა და შეადგინა 39,141 ათასი (დღგ-ს გარეშე) ლარი. ხარჯის ზრდა გამოწვეულია კომპანიის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად გაზრდილი აბონენტების რაოდენობისა და შესაბამისად მოპოვებული წყლის რაოდენობით. რაც შეეხება შრომის ანაზღაურების ხარჯს, მისმა ფაქტობრივმა ოდენობამ 2025 წელს 63,506 ათასი ლარი შეადგინა (საშემოსავლო გადასახადების ჩათვლით).

კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებსა და ხარჯებზე დაყრდნობით საოპერაციო მაჩვენებელმა (Operating Ratio) 2025 წელს 2.20 შეადგინა. საოპერაციო მაჩვენებლის კალკულაცია ეყრდნობა მოგება-ზარალის ანგარიშგებას. აღსანიშნავია რომ კომპანიის მოგება-ზარალი ითვალისწინებს დარიცხულ საშემოსავლო, მიწისა და ქონების გადასახადებს.

რაც შეეხება კომპანიის აქტივებს, 2024 წელთან შედარებით, 2025 წელს ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გაიზარდა 11%-ით და შეადგინა 1,813 მლრდ ლარი.

2025 წელს შემოსავლების ამოღების მაჩვენებელი (Revenue collection ratio) 97%, ხოლო კომპანიის ვალის დაფარვის მაჩვენებელი (debt coverage ratio) – 2.48 შეადგინა.

2025 წელს ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ კომპანიისთვის გამოყოფილმა თანხებმა შეადგინა 882 მლნ ლარი, საიდანაც 400 მილიონი მლნ ლარი განკუთვნილი იყო 2026 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისა და 2026 წლის სასესხო ვალდებულების დასაფარად, ხოლო 482 მლნ ლარი განკუთვნილი იყო შემდეგი მიზნებისთვის: საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების თანამონაწილეობა; სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი თანხები; კომპანიის ფუნქციონირებისათვის საჭირო თანხა (სუბსიდია).

7. არაფინანსური მაჩვენებლები

შპს „საქართველოს გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანიაში“ დასაქმებულია 3,919 თანამშრომელი, რომელიც ემსახურება 419 ათასამდე აბონენტს. მომსახურების სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე კომპანია მაქსიმალურად ცდილობს დაიცვას გენდერული ბალანსი. 2025 წელს სათაო ოფისში დასაქმებულთა 36% მდედრობითი სქესისაა, ხოლო კომპანიის მასშტაბით 21%.

7. არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)



გრაფიკი 2 გენდერული გადანაწილება მენეჯერულ პოზიციებზე სათაო ოფისში

კომპანიის მასშტაბით თანამშრომელთა 5% - 184 ადამიანი მუშაობს მენეჯერულ პოზიციებზე.



გრაფიკი 3 კომპანიაში დასაქმებულთა გადანაწილება მენეჯერულ და არა მენეჯერულ პოზიციებზე

კომპანია ემსახურება 970 ათასზე მეტ ბენეფიციარს, სამწუხაროდ, ამორტიზებული ინფრასტრუქტურის ან ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, ვერ ხერხდება მოსახლეობის წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურებით სრულად დაფარვა, ასევე ზოგიერთ სერვის ცენტრში წყლის მიწოდება ხდება გრაფიკით.

სახელმწიფო სახსრებითა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით მიმდინარეობს და დაგეგმილია მსხვილი სამშენებლო სამუშაოები, რომელიც ითვალისწინებს დაფარვის არეალის ათვისებას, არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, წყალმომარაგების გრაფიკის გაუმჯობესებასა და კომპანიის დაფარვის არეალში მყოფი ქალაქების გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას.

7. არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

კომპანიის დაარსებიდან 2025 წლამდე აბონენტების რაოდენობა გაიზარდა 86 ათასიდან 419 ათასამდე, მათგან 2025 წლის მონაცემებით, კომერციული აბონენტების რაოდენობა შეადგენს 30 ათასზე მეტს, ფიზიკური მრიცხველიანი აბონენტების რაოდენობა - 295 ათასზე მეტ აბონენტს, ხოლო ფიზიკური უმრიცხველო აბონენტების რაოდენობა 94 ათასზე მეტ აბონენტს. განხორციელებული სამშენებლო/სარეაბილიტაციო პროექტების შედეგად, კომპანიის დაარსებიდან 2025 წლამდე კომპანიის გამრიცხველიანების ნიშნული გაუმჯობესდა 4%-დან 76%-მდე.

8. ძირითადი რისკები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ორგანიზაციის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის სტრუქტურული ერთეულებისთვის.

კომპანიის საერთო მიზანია შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ, კომპანიის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ ინვესტიციებისათვის თანხების გამოსაყოფად საჭიროა წინასწარ განსაზღვრული კოვენანტების დაკმაყოფილება. აღნიშნული კოვენანტები გულისხმობს როგორც ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლების დაკმაყოფილებას (საოპერაციო კოეფიციენტი =<1), ასევე ახალი სატარიფო განაკვეთების დამტკიცებას. დღეს დღეისობით, წყლის მიწოდებიდან მიღებული შემოსავლებით ვერ ხერხდება სერვის ცენტრების საოპერაციო ხარჯების დაფარვა. შესაბამისად, საოპერაციო მაჩვენებელიც 1-ზე მეტია, კოვენანტების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია ხარჯების ოპტიმიზაცია და შემოსავლების გაზრდა, რაც დაფარვის არეალის ათვისებით (ახალი აბონენტები), უკანონო დაერთებების გამოვლენით და ტარიფის ცვლილებითაა შესაძლებელი.

კომპანიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ამორტიზებული სისტემები, რაც იწვევს ქსელზე ავარიების რაოდენობის ზრდას (საოპერაციო ხარჯების ზრდას) და წყლის მიწოდებას შეზღუდული გრაფიკით. აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად კომპანიას სჭირდება თანამედროვე ინფრასტრუქტურა, ტექნოლოგიები, გამწმენდი ნაგებობები და ენერგო ეფექტური მოწყობილობები.

წყლის დანაკარგები კომპანიისათვის უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. დანაკარგების სიდიდე ორი ფაქტორითაა გამოწვეული: კომერციული და ტექნიკური დანაკარგებით. ამჟამად, კომპანიის საყოფაცხოვრებო აბონენტების 76%-ია გამრიცხველიანებული. ტექნიკური დანაკარგები უმთავრესად ქსელზე ავარიებისა და ამორტიზირებული სისტემის შედეგია.

კომპანიისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს უკანონო დაერთებების კუთხით არსებული მდგომარეობა, კერძოდ ქვეყნის მასშტაბით არაკეთილსინდისიერი მომხმარებლების მხრიდან, (იურიდიული და ფიზიკური პირები) ხდება კომპანიის ინფრასტრუქტურისა და რესურსის უკანონო გამოყენება, რაც ერთი მხრივ, საგრძნობლად ზრდის კომპანიის საოპერაციო ხარჯებს, ხოლო მეორე მხრივ, ხელს უშლის მის გამართულ საქმიანობას. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ აქტიურად მუშაობს აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, კერძოდ, კომპანიამ რეგიონებში აწარმოა მასობრივი საინფორმაციო კამპანია, რომლის მიზანიც მოსახლეობის ინფორმირება იყო, ხოლო 2025 წლის 8 დეკემბრიდან მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და ხარისხიანი, სტაბილური წყალმომარაგების მიზნით დაიწყო კომერციული ობიექტებისა და ფიზიკური პირების აქტიური შემოწმება, რათა გამოვლენილი იყოს უკანონო მიერთებების ყველა შემთხვევა და მოხდეს მათი აღმოფხვრა.

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
- სავალუტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი

ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია 2025 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

9. გარემოს დაცვა

კომპანიის მიზანია ადამიანის ჯანმრთელობისთვის და ბუნებრივი ეკოსისტემებისათვის სუფთა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მოხმარება მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით.

კომპანიის საქმიანობა მოიცავს საქართველოს ურბანულ დასახლებებში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების უზრუნველყოფას, რაც გულისხმობს წყალარინების ქსელების და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობასა და შემდგომ ექსპლუატაციას. აღნიშნული დავალების შესასრულებლად, კომპანიის მიერ ხორციელდება მაშტაბური პროექტები, რის ფარგლებში მნიშვნელოვნად უმჯობესდება ეკოლოგიური უსაფრთხოება.

9. გარემოს დაცვა (გაგრძელება)

გამომდინარე იქიდან, რომ ურბანულ დასახლებებში კომუნალური და სამრეწველო სექტორი (ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების წყალარინების ჩადინება გაუწმენდავი სახით) არის ზედაპირული წყლების ძირითადი დამაბინძურებელი, კომპანიას თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დიდი წვლილი შეაქვს ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვაში. ამჟამად ექსპულატაციაში გაშვებულია 6 გამწმენდი ნაგებობა: ანაკლიაში, აბასთუმანში, ურეკში, ზუგდიდში, თელავსა და წყალტუბოში. ასევე მიმდინარეობს და დაპროცესებულია გამწმენდი ნაგებობების სამშენებლო სამუშაოები ქვეყნის სხვადასხვა მდებარეობაში.

კომპანია წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორში დაგეგმილი პროექტების, მშენებლობისა თუ ოპერირებისას სრულად ითვალისწინებს ქვეყანის ეკოლოგიურ მდგომარეობას და ხელმძღვანელობს როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ასევე არსებული საერთაშორისო პრაქტიკით, რაც გულისხმობს გარემოს დაცვითი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებას მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების ყოველ ეტაპზე.

10. ადამიანის უფლებების დაცვა

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში“ მაქსიმალურად დაცულია ადამიანთა ძირითადი უფლებები, მათ შორის შრომითი უფლებები. კომპანია დასაქმების თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს ყველა კანდიდატს განურჩევლად რასის, რელიგიის, სქესის, ეროვნების, ასაკისა და ა.შ. პერიოდულად კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური დაუყოვნებლივ ახდენს თანამშრომლების ინფორმირებას:

- შრომის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესახებ;
- დაგროვებითი პენსიის სქემის ამოქმედების და მასში ჩართვის შესახებ.
- შრომის უსაფრთხოების კანონში განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

11. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საქმიანობა მიმდინარეობს ბიზნეს ეთიკის პრინციპების დაცვით, საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. კომპანიაში მექრთამეობის პრევენციის მიზნით, იკრძალება ღირებულების მქონე ნებისმიერი სიკეთის გადაცემა ან შეთავაზება ნებისმიერი პირისთვის, ისევე როგორც ნებისმიერი პირისგან მისი მიღება ან წახალისება კორუფციული მოტივით.

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ რეგულარულად ფასდება კორუფციის და მექრთამეობის რისკები. შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტი ამოწმებს კომპანიის საქმიანობას, ადგენს დარღვევებსა და რისკებს და აფასებს დანერგილი კონტროლების ეფექტურობას.

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2026 წლის 2 ივლისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი _____ ბესიკ ჯიქურაული

9. გარემოს დაცვა (გაგრძელება)

გამომდინარე იქიდან, რომ ურბანულ დასახლებებში კომუნალური და სამრეწველო სექტორი (ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების წყალარინების ჩადინება გაუწმენდავი სახით) არის ზედაპირული წყლების ძირითადი დამაბინძურებელი, კომპანიას თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დიდი წვლილი შეაქვს ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვაში. ამჟამად ექსპულატაციაში გაშვებულია 6 გამწმენდი ნაგებობა: ანაკლიაში, აბასთუმანში, ურეკში, ზუგდიდში, თელავსა და წყალტუბოში. ასევე მიმდინარეობს და დაპროცესებულია გამწმენდი ნაგებობების სამშენებლო სამუშაოები ქვეყნის სხვადასხვა მდებარეობაში.

კომპანია წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორში დაგეგმილი პროექტების, მშენებლობისა თუ ოპერირებისას სრულად ითვალისწინებს ქვეყანის ეკოლოგიურ მდგომარეობას და ხელმძღვანელობს როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ასევე არსებული საერთაშორისო პრაქტიკით, რაც გულისხმობს გარემოს დაცვითი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებას მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების ყოველ ეტაპზე.

10. ადამიანის უფლებების დაცვა

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში“ მაქსიმალურად დაცულია ადამიანთა ძირითადი უფლებები, მათ შორის შრომითი უფლებები. კომპანია დასაქმების თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს ყველა კანდიდატს განურჩევლად რასის, რელიგიის, სქესის, ეროვნების, ასაკისა და ა.შ. პერიოდულად კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური დაუყოვნებლივ ახდენს თანამშრომლების ინფორმირებას:

- შრომის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესახებ;
- დაგროვებითი პენსიის სქემის ამოქმედების და მასში ჩართვის შესახებ.
- შრომის უსაფრთხოების კანონში განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

11. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საქმიანობა მიმდინარეობს ბიზნეს ეთიკის პრინციპების დაცვით, საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. კომპანიაში მექრთამეობის პრევენციის მიზნით, იკრძალება ღირებულების მქონე ნებისმიერი სიკეთის გადაცემა ან შეთავაზება ნებისმიერი პირისთვის, ისევე როგორც ნებისმიერი პირისგან მისი მიღება ან წახალისება კორუფციული მოტივით.

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ რეგულარულად ფასდება კორუფციის და მექრთამეობის რისკები. შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტი ამოწმებს კომპანიის საქმიანობას, ადგენს დარღვევებსა და რისკებს და აფასებს დანერგილი კონტროლების ეფექტურობას.

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2026 წლის 2 ივლისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი _____ ბესიკ ჯიქურაული